ჩვენი სოფელი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიური გამოცემა ◆ მაისი/2020

№3 (53)

StopCoV.ge | ჯანდაცვის სამინისტროს ცხელი ხაზი: 1505 | დაავადებათა კონტროლის ცხელი ხაზი: 116 001

ზრუნვა სოფელზე და ფერმერზე

სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია

„დღეს სოფლად ცხოვრობს ჩვენი მოქალაქეების დიდი ნაწილი და ძლიერი სოფელი პირდაპირ ნიშნავს ძლიერ ქვეყანას და ძლიერ სახელმწიფოს. ქართველი კაცის დამოკიდებულება მიწასთან ყოველთვის განსაკუთრებული სპეციფიკით გამოირჩეოდა, ამიტომ ჩვენ შევიმუშავეთ პროგრამა, რომელიც დამყარებულია როგორც ფერმერის და ფერმერობის მხარდაჭერაზე, ისე იმ ხარისხობრივი ნიშნების შემოტანაზე ფერმერულ მეურნეობაში, რომელმაც ერთმნიშვნელოვნად უნდა გაზარდოს ჩვენი სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონებთან და ჩვენს ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად, ამ დარგში არსებული კრიზისებისა და გამოწვევების მართვის ძალიან კარგი გამოცდილება აქვს. ეს შეიძლება იყოს მაგალითად აზიური ფაროსანა, რომელსაც სოფლის მეურნეობის სამინისტრო ფერმერებთან და ასოციაციებთან ერთად აბსოლუტურად ეფექტურად გაუმკლავდა. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ამ პროგრამის შედეგი უნდა იყოს, რომ აგრარული პროცესი ქვეყანაში არც ერთი დღით არ უნდა გაჩერდეს და ქვეყანაში არ დარჩეს დაუმუშავებელი მიწა. ***ამ მიზნით მთავრობამ შეიმუშავა იმ პროგრამების კონკრეტული გეგმა, იმ პროგრამების დაფინანსების გასაზრდელად, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტროში ფერმერების დასახმარებლად უკვე არსებობს. ამასთან ერთად, შევიმუშავეთ სპეციალური დამატებითი ღონისძიებებიც...***

ჩვენ ვეხმარებით ფერმერებს, სოფელს, ესაა ზრუნვა არა მხოლოდ სოფელში მცხოვრებ ადამიანებზე, არამედ ჩვენს თითოეულ მოქალაქესა და ქვეყნის აგროსასურსათო უსაფრთხოებაზე. გარდა ამისა, მინდა, თითოეულ ფერმერს მოვუწოდო, ყველა ის მიწა, რომელიც მათ აქვთ სარგებლობაში და შეუძლიათ იყოს რეგისტრირებული, რაც შეიძლება სწრაფად დაარეგისტრირონ, რათა გახდნენ ბენეფიციარები ყველა იმ პროგრამისა, რასაც დღეს სახელმწიფო მათ სასარგებლოდ ახორციელებს...

მადლობა ლევან დავითაშვილს, შთამბეჭდავი ციფრები და კარგი ნამუშევარია. ეს არის ჩვენი და ამ პროგრამის მიზანი. გარდა ამისა, შემდეგი მიზანი, რაც სისტემური გამოწვევაა სოფლის მეურნეობის დარგისთვის, ეს არის დარგის ინდუსტრიალიზაცია, ჩვენ გვჭირდება ინდუსტრიული სოფლის მეურნეობა და რა თქმა უნდა პროდუქტიულობის ზრდა. ეს ის გამოწვევებია, რომლებსაც ჩვენ წლებია ვებრძვით, სადაც გარკვეული წარმატებები გვაქვს. ***ერთადერთი რაც უნდა მოვუწოდოთ ჩვენს მოქალაქეებს, შევიძინოთ ქართული პროდუქტები, რომელიც ხდება უფრო და უფრო ხარისხიანი და ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ ჩვენი აგროსასურსათო უსაფრთხოების დაკმაყოფილების შემდგომ, ჩვენი სოფლის მეურნეობის პროდუქტები იყოს კონკურენტუნარიანი საერთაშორისო ბაზრებზე. ჩვენ ეს შეგვიძლია და ეს უნდა გავაკეთოთ“.***

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი:

„სოფლის მეურნეობა არის ეკონომიკური საქმიანობის ნაწილი, თუმცა სპეციფიკური.

ფერმერული საქმიანობა თავის თავში მოიცავს მნიშვნელოვან რისკებს, რაც დიდწილად უკავშირდება ბუნებრივ მოვლენებს, კლიმატს. შესაბამისად, სპეციფიკურია სახელმწიფოს პოლიტიკა სოფლის მეურნეობის მიმართ და ფერმერების დახმარების პაკეტიც განსხვავდება, კომპლექსურია და მოიცავს საკრედიტო ინსტრუმენტებს, საგრანტო დახმარებას, მოიცავს პირადაპირ დახმარებას აგროდიზელის სახით, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმოების ინსტრუმენტია, ასევე მნიშვნელოვანია ტექნიკური დახმარების და ცოდნის კომპონენტი.

როცა ვსაუბრობთ სოფლის მეურნეობაზე, არ შეიძლება, არ აღინიშნოს, რომ ჩვენი ხელისუფლების პირობებში სოფლის მეურნეობის პოლიტიკის შესახებ.

2013 წელს, სოფლის მეურნეობა გამოცხადდა პრიორიტეტულ მიმართულებად. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკამ უპრეცედენტოდ დიდი დახმარება მიიღო ბატონი ბიძინა ივანიშვილისგან. მან დაახლოებით 200 მლნ ლარამდე დახარჯა სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის. ეს იყო, პრაქტიკულად, გარდამტეხი მომენტი სოფლის მეურნეობაში. ჩვენი მოსახლეობის სოფლის მეურნეობისკენ და სოფლისკენ მიბრუნება სწორედ ამ სტიმულმა გამოიწვია.

ამის შემდეგომ ჩვენი პოლიტიკა თანმიმდევრულია და ორიენტირებულია კერძო მეურნეობების განვითარებაზე. პირველად „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში განისაზღვრა სოფლის მეურნეობის კერძო სექტორის დახმარების სრულყოფილი პაკეტი, რომელიც გულისხმობდა ღირებულებათა ჯაჭვის ყველა რგოლის დახმარებას და ამას თანმიმდევრულად ვახორციელებდით წლების განმავლობაში.

ამ თანმიმდევრულობის შედეგად, ჩვენ შარშან უპრეცედენტოდ მაღალი, დაახლოებით, 1 მლრდ დოლარის აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი განვახორციელეთ.

ჩვენ შევამცირეთ ასევე დეფიციტი, რომლიც გვქონდა აგროსასურსათო პროდუქტების ვაჭრობაში; დაახლოებით 900 მლნ დოლარის უარყოფითი ბალანსი გვქონდა 2012-2013 წლებში და ჩვენ ეს ბალანსი დაახლოებით 300 მლნ დოლარამდე დავიყვანეთ იმ პერიოდში, როდესაც საქართველოში წლიდან-წლამდე იზრდებოდა ტურისტული ნაკადი“.

„ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც უკავშირდება ფერმერების დახმარებას, ეს არის პირდაპირი დახმარება - სუბსიდირება იმისთვის, რომ ფერმერებს წარმოება გაუმარტივდეთ და გაუიაფდეთ; მათთვის ხელმისაწვდომი იყოს სხვადასხვა მასალა, რომელიც სოფლის მეურნეობაში გამოიყენება", - განაცხადა ღევან დავითაშვილმა.

მცირემიწიანი ფერმერების დახმარება

იწყება ახალი სახელმწიფო პროგრამა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა სტიმულირება".

პროგრამა ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო საქონლისა და ხვნის მომსახურების ღირებულების სუბსიდირებას. პროგრამით გათვალისწინებული სუბსიდიის მისაღებად საჭიროა, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საკუთრებაში ჰქონდეთ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. სუბსიდიის მოცულობა 1 ჰექტარ მიწაზე განისაზღვრა 200 ლარით (აგრობარათზე დარიცხული 200 ქულით).

0.25 ჰა-დან 1.25 ჰა-მდე მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შესაძლებლობა ექნება ბარათზე დარიცხული ქულები გამოიყენოს შემდეგი სასოფლო-სამეურნეო საქონლის შესაძენად:

- სასუქები და მცენარეთა დაცვის ქიმიური/ბიოლოგიური საშუალებები;
- მცენარეთა მოვლის ქიმიური/ბიოლოგიური საშუალებები;
- სათესლე და სარგავი მასალები.

1.25 ჰა-დან 10 ჰა-მდე და მეტი ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებს ბარათზე დარიცხული ქულების გამოყენების შესაძლებლობა ექნებათ როგორც ზემოაღნიშნული სასოფლო-სამეურნეო საქონლის, ასევე, სასოფლო-სამეურნეო მიწის აგროტექნიკური (ხვნის) სამუშაოების მომსახურების შესაძენად.

პროექტის ფარგლებში, არაუმეტეს 10 ჰექტრისა ერთიანი მიწის ნაკვეთებისთვის სუბსიდია შეადგენს მაქსიმუმ 2000 ლარს. პროგრამით ისარგებლებს 200,000-მდე ფერმერი.

პროგრამის ბიუჯეტი 37 000 000 ლარია და პროგრამის განხორციელება დაიწყება 2020 წლის 20 მაისიდან.



ღევან დავითაშვილი: „სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის მფლობელებისთვის დიზელის საწვავის შეღავათიან ფასად შეძენის შესაძლებლობა არ არის მოკლევადიანი პროექტი და მხოლოდ ანტიკრიზისული გეგმის ნაწილი. ამ პროექტის ინიციატორი იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია. ეს პროექტი მომავალ წლებშიც გაგრძელდება და მნიშვნელოვანი შეღავათი იქნება ფერმერებისთვის"

სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის მფლობელები დიზელის საწვავს შეღავათიან ფასად მიიღებენ

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 0,25-დან 100 ჰექტარი ფართობის მიწის ნაკვეთის მფლობელი ფიზიკური და იურიდიულ პირებს, ახალი სახელმწიფო პროექტის ფარგლებში, დიზელის საწვავს შეღავათიან ფასად იყიდიან.

პროექტის ფარგლებში, საწვავის ლიმიტი 1 ჰექტარზე 150 ლიტრის ოდენობით განისაზღვრა. პროგრამის ბენეფიციარები აგროტექნიკური სამუშაოებისთვის საჭირო დიზელის საწვავს, ბაზარზე არსებულთან შედარებით, მნიშვნელოვნად დაბალ ფასად იყიდიან.

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდას, რაც, თავის მხრივ, სასურსათო უზრუნველყოფასა და პროდუქციის თვითღირებულებაზე დადებითად აისახება.

პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 0.25 და მეტი ჰექტარი მიწის ნაკვეთის მფლობელ ყველა ფიზიკურ და იურიდიული პირს. პროგრამით ისარგებლებს 200,000-მდე ფერმერი და ფერმერები დიზელის შეძენისთვის 40 მილიონ ლარამდე თანხას დაზოგავენ. პროგრამის განხორციელება დაიწყება 2020 წლის 20 მაისიდან.

შპს „საქართველოს მელიორაციის" მიმართ არსებული 8 000 000 ლარამდე ოდენობის დავალიანება, რომელიც 2012-2019 წლებში წარმოიქმნა, სრულად ჩამოეწერება 42 000 ფერმერს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივითა და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, 42 000 ფიზიკურ და იურიდიულ პირს სრულად ჩამოეწერებათ შპს „საქართველოს მელიორაციის" მიმართ არსებული 8 000 000 ლარამდე ოდენობის დავალიანება, რომელიც 2012-2019 წლებში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების სამელიორაციო მომსახურების შედეგად წარმოიქმნა.

აღნიშნული დავალიანება ფერმერებს ჩამოეწერებათ ავტომატურად.

ამასთანავე, 42 ათასზე მეტი ფერმერი 2020 წელს სამელიორაციო მომსახურების საფასურისგან გათავისუფლდება, რაც 1 ჰექტარზე 75 ლარამდე გადასახადს გულისხმობს და ჯამში 5 მილიონ ლარს შეადგენს. დახმარება განკუთვნილია ყველა ფერმერისთვის, ვინც სარგებლობს ირიგაციის და დრენაჟის მომსახურებით 10 ჰექტარამდე მიწის ფართობზე (აღმოსავლეთ საქართველოში - ირიგაციის საფასური 1 ჰექტარზე 75 ლარი, დასავლეთ საქართველოში - ირიგაციის საფასური 1 ჰექტარზე 45 ლარი, დრენაჟის - 40 ლარი).

StopCoV.ge ჯანდაცვის სამინისტროს ცხელი ხაზი: 1505 დაავადებათა კონტროლის ცხელი ხაზი: 116 001

10 ჰექტარზე მეტი სავარგულის შემთხვევაში, მფლობელი გადაიხდის მხოლოდ სხვაობის საფასურს.

აღნიშნული შეღავათით სარგებლობისთვის, ფიზიკურმა და იურიდიულმა პირმა უნდა გააფორმოს განაცხადი სამელიორაციო მომსახურებაზე, სადაც იქნება გაწერილი რამდენი ჰექტარი მიწა აქვს და რა პერიოდში (თვეების და თარიღების მითითებით) ესაჭიროება მომსახურება.

პირველადი წარმოების ხელშეწყობის მიზნით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო „აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამას“ ანახლებს

პროგრამა მოიცავს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის (ტრაქტორის, მათ შორის ხელის ტრაქტორების (მოტობლოკი) და იმპლემენტების) შეძენის თანადაფინანსებას. ახალი სასათბურე მეურნეობის მოწყობისთვის ან/და არსებული სასათბურე მეურნეობის გაფართოება/მოდერნიზებისთვის საჭირო შესასყიდი ძირითადი საშუალებების შეძენის და მათი სამონტაჟო სამუშაოების თანადაფინანსებას და ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისთვის სარწყავი სისტემის შესყიდვა/მონტაჟის თანადაფინანსებას.

პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო თანადაფინანსების მოცულობა ჯამურად ერთ ბენეფიციარზე შეადგენს 50%-ს, მაგრამ არაუმეტეს 50,000 ლარისა. პროგრამის საბიუჯეტო თანადაფინანსების ჯამური თანხა შეადგენს 10,000,000 ლარს. პროგრამის ფარგლებში სავარაუდოდ დაფინანსდება 200 ტრაქტორი, 80 000 კვ/მ სათბური და 400 ჰა მიწის ფართობზე მოეწყობა სარწყავი სისტემა.

აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამის ბენეფიციარი შესაძლებელია იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი. განაცხადების მიღებას სოფლის და სოფლისა მეურნეობის განვითარების სააგენტო უახლოეს მომავალში დაიწყებს. განაცხადის ფორმა განთავსდება აღნიშნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე www.arda.gov.ge. პროგრამის განხორციელება დაიწყება 2020 წლის 20 მაისიდან.

პირველადი წარმოების ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავალი” ფარგლებში, შესაძლებელი ხდება მრავალწლოვან ბაღებში სარწყავი სისტემების მოწყობა. სისტემების შესყიდვა-მონტაჟის სახელმწიფო თანადაფინანსება, ერთ ბენეფიციარზე, შეადგენს 50%-ს და ითვალისწინებს 1 ჰექტარზე არაუმეტეს 2 500 ლარს. პროგრამის ბიუჯეტი 13 მლნ ლარია.

ღევან დავითაშვილი: „მიწის ჰეგისტრაცია აჰის უმთავრესი წინაპირობა სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის.

აჰ შეიძლება აჰ აღინიშნოს იუსტიციის სამინისტროს აქტიური მუშაობა სასოფლო-სამეურნეო მიწების ჰეგისტრაციის კუთხით. ჩვენ გვაქვს სწორი მეთოდოლოგია. აღსანიშნავია, რომ ჩვენი ხელისუფლების პირობებში, 7 წლიწადში ჰეგისტრირებულია უფრო მეტი მიწის ნაკვეთი, ვიდრე წინა 25 წლის განმავლობაში, ჩვენი დამოუკიდებლობის დროიდან. ეს პროცესი, სავარაუდოდ, 3-4 წლიწადში უნდა დასრულდეს. ვფიქრობთ, რომ დაუჰეგისტრირებელი ნაკვეთები წლის განმავლობაში დარეგისტრირდება და მეტი ფერმერი ჩაერთვება სახელმწიფო პროგრამებში.

მიწის ჰეგისტრაცია აჰის მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელიც ბმაშია ჩვენს პოლიტიკასთან და ამ პოლიტიკის თანამიმდევრულობას უსვამს ხაზს - ჩვენ ვახორციელებთ ჰეგისტრაციას, როგორც აუცილებელ პირობას და ვაყალიბებთ პროფესიონალი ფერმერების კატეგორიას”.

StopCoV.ge ჯანდაცვის სამინისტროს ცხელი ხაზი: 1505 დაავადებათა კონტროლის ცხელი ხაზი: 116 001

თბილისი, 0159, მარშალ გელოვანის გამზ. N6.
ელ-ფოსტა: info@mepa.gov.ge
ცხელი ხაზი (+995 32) 247 01 01; 1501

ახალი საბანკო შეღავათები აგროწარმოებისთვის

საბრუნავი საშუალებების კომპონენტი	ძირითადი საშუალებების და ლიზინგის კომპონენტი	სასურსათო მრეწველობის ხელშეწყობის კომპონენტი
ერთწლიანი კულტურების დაფინასების ქვეკომპონენტი		
5,000 ლარი - 100,000 ლარი	20,000 ლარი - 1,500,000 ლარი	1,500,001 ლარი - 5,000,000 ლარი
სრული თანადაფინანსება - 17 %	თანადაფინანსება - 11-12 %	თანადაფინანსება - 10%
თანადაფინანსების პერიოდი - 6 თვე	თანადაფინანსების პერიოდი - 48 თვე	თანადაფინანსების პერიოდი - 24 თვე

ერთწლიანი კულტურებისთვის სესხის 6 თვის საპროცენტო განაკვეთი სრულად დაფინანსდება

ძირითადი საშუალებების თანადაფინანსება ~~8%~~ → 11%

ლიზინგის თანადაფინანსება ~~9%~~ → 12%

ბიუჯეტი 74 მილიონი

დამატებით გამოიყო: 7.5 მილიონი

ღევან დავითაშვილი: „უნივერსალური პროექტს, რომელსაც ჩვენ ვახორციელებთ 2013 წლიდან, ეს არის აგროკრედიტის პროექტი. ეს არის „ქართული ოცნების" ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დაპირება - იაფი ხესურსი სოფლის მეურნეობაში.

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი წლიდან წლამდე სახეს იცვლის, გარკვეულ მოდიფიკაციას გადის ხელობიდან გამომდინარე. დღეს შეცვლილია ხელობა ბანკებში; აქედან გამომდინარე, საპროცენტო განაკვეთი გავზარდეთ იმისთვის, რომ მეტი შესაძლებლობა ჰქონდეს აგროსასურსათო სექტორს და აგროსასურსათო ბიზნესს.

ეს არის ახალი შესაძლებლობები, რომელიც კრიზისის დროს ჩნდება ფერმერებისთვის სოფლის მეურნეობაში. ჩვენი მოსახლეობის, დაახლოებით, 39%-ია სოფლის მეურნეობაში ჩართული. ამ პერიოდის განმავლობაში ადამიანები მიუბრუნდნენ სოფელს, თავიანთ ნაკვეთებს და მათ სჭირდებათ შესაძლებლობები იმისათვის, რომ ხელისტრიხებულ მიწებზე შეძლონ სასოფლო-სამეურნეო წარმოება".

პროექტში საბრუნავი საშუალებების კომპონენტს ემატება ახალი ქვეკომპონენტი - მემცენარეობის საბრუნავი საშუალებების დაფინანსება.

სესხები გაიცემა 5 000 ლარიდან 100 000 ლარის ჩათვლით, ხოლო სახელმწიფო მოახდენს 6 თვის საპროცენტო განაკვეთის სრულად დაფინანსებას უზრუნველყოფილი სესხების შემთხვევაში, ხოლო არაუზრუნველყოფილი სესხების შემთხვევაში - წლიური 17%-ის მოცულობით. პროექტის დაწყებიდან დღემდე, სახელმწიფო პირველად ახდენს პროცენტის სრულად თანადაფინანსებას. აღნიშნული მეტ სტიმულს მისცემს ფერმერებს, დაამუშაონ მიწები და ერთწლოვანი კულტურები მოიყვანონ. პროგრამის ფარგლებში ფერმერებზე გაცემული სესხების ჯამური სავარაუდო მოცულობა იქნება 50,000,000 ლარი. წლიური პროცენტის თანადაფინანსების საბიუჯეტო თანხა შეადგენს 4,500,000 ლარს. პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობა 5,000 პოტენციურ ბენეფიციარს აქვს.

„შეღავათიანი აგროკრედიტის" ძირითადი საშუალებების კომპონენტში იზრდება თანადაფინანსების პროცენტი.

არსებული წლიური 8%-ის ნაცვლად სახელმწიფო ფერმერს 48 თვის განმავლობაში დაუფინანსებს 11%-ს. იზრდება ლიზინგის თანადაფინანსების პროცენტიც, ნაცვლად არსებული 9%-ისა იქნება 12 %. ძირითადი საშუალებების კომპონენტში და მის ყველა ქვეკომპონენტში იზრდება ბანკებისთვის დაწესებული პროცენტის ზედა ზღვარი, ნაცვლად 15%-ისა იქნება 18%. ძირითადი საშუალებების კომპონენტს და ლიზინგს ემატება ყურძნის გადამმუშავებელი საწარმოების და მაკარონის ნაწარმის წარმოების დაფინანსება.

პროგრამის ფარგლებში ფერმერებზე გაცემული სესხების ჯამური სავარაუდო მოცულობა იქნება 25,000,000 ლარი. წლიური პროცენტის თანადაფინანსების საბიუჯეტო ჯამური თანხა 4,000,000 ლარი (2 წლის განმავლობაში).

პროექტს კომპონენტად ემატება, მეორადი უზრუნველყოფის კომპონენტი მეხორცული მიმართულების მეცხოველეობისათვის და მეთხილეობისთვის საბრუნავი საშუალებებისათვის გაცემულ სესხებზე.

კომპონენტის ფარგლებში გაცემული ყოველი ახალი სესხის ძირითადი თანხის მთლიანი მოცულობის არაუმეტეს 50%-ის მეორადი უზრუნველყოფა მოხდება სახელმწიფოს მიერ სესხის ან მისი პირველი ტრანშის გაცემიდან მომდევნო 18 თვის განმავლობაში.

პროექტს ასევე დაემატა ახალი ქვეკომპონენტი სასურსათო მრეწველობის დაფინანსებისთვის.

ქვეკომპონენტის ფარგლებში სესხი გაიცემა 1 500 001 ლარიდან 5 000 000 ლარის ჩათვლით, რომლის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას სააგენტო მოახდენს წლიური 10 %-ის მოცულობით 24 თვის განმავლობაში. არსებულ მიზნობრიობებს ემატება ყურძნის გადამმუშავებელი საწარმოების, პურისა და პურპროდუქტების წარმოების და მაკარონის ნაწარმის წარმოების დაფინანსება. პროექტს ემატება აგროლიზინგის კომპონენტის ქვეკომპონენტი სასურსათო მრეწველობის დაფინანსებისათვის, სადაც სახელმწიფო თანადაფინანსება 12% იქნება 24 თვის განმავლობაში. პროგრამის ფარგლებში, ფერმერებზე გაცემული სესხების ჯამური სავარაუდო მოცულობა იქნება 20,000,000 ლარი. 500,000 ლარის ბიუჯეტის ოდენობით ანაზღაურდება მეორადი უზრუნველყოფის ფარგლებში.

„შეღავათიანი აგროკრედიტით" სარგებლობა შეუძლიათ საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ და საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს.

ბენეფიციარი რეგისტრირებული უნდა იყოს ფერმერთა/ფერმათა რეესტრში.

„შეღავათიანი აგროკრედიტის" მიღების სურვილით პირს შეუძლია მიმართოს პროექტში ჩართულ 12 ბანკს, ხოლო შეღავათიანი აგროლიზინგით სარგებლობის სურვილით, მიმართოს პროექტში ჩართულ 4 სალიზინგო კომპანიას.

დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს პროექტში ჩართულ ნებისმიერ საფინანსო ინსტიტუტს, რომელიც განიხილავს განაცხადს. თუ პოტენციური მსესხებელი აკმაყოფილებს პროექტით დადგენილ პირობებს და ბანკის/სალიზინგო კომპანიის მიერ დადგენილ მოთხოვნებს, საფინანსო ინსტიტუტი გასცემს შეღავათიან აგროკრედიტს/აგროლიზინგს და ბენეფიციართან აფორმებს ყველა საჭირო დოკუმენტს, რის შემდეგაც, სააგენტო ახდენს სესხის/ლიზინგის თანადაფინანსებას.

2020 წელს პროექტის „შეღავათიანი აგროკრედიტი" ბიუჯეტი 74 მლნ ლარია. ანტიკრიზისული ღონისძიებების ფარგლებში პროექტისთვის დამატებით გამოიყო 7.5 მლნ ლარი.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) ფინანსური მხარდაჭერით, „მერძევეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამის“ განხორციელება იწყება

პროგრამის მიზანია დივერსიფიცირებული და მდგრადი მერძევეობის დარგის ჩამოყალიბება და განვითარება შესაბამისი ინვენტარისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების გზით. პროგრამის ფარგლებში, დაგეგმილია სოფლად რძის მცირე წარმოების განვითარების ხელშეწყობა - ახალი სტანდარტებისა და საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვა. პროგრამა იმერეთის, გურიის, სამცხე-ჯავახეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, ქვემო ქართლის, კახეთისა და რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის რეგიონებში განხორციელდება. პროგრამა ითვალისწინებს როგორც ახალი საქმიანობის დაწყებას, ასევე არსებულის გაფართოებას/მოდერნიზებას/გადაიარაღებას შემდეგი მიმართულებებით: რძის პირველადი წარმოება, რძის შემგროვებელი პუნქტი, რძის გადამმუშავებელი საწარმო, პირუტყვის საკვების პირველადი წარმოება, ვეტერინარია და ხელოვნური განაყოფიერება.

პროგრამის ფარგლებში, დაფინანსება ხორციელდება პროექტის ღირებულების 40%-დან 80%-მდე თანადაფინანსებით, ხოლო თანხობრივი ლიმიტები მერყეობს 8000 ლარიდან 195,000 ლარამდე. პროგრამის ჯამური ბიუჯეტი შეადგენს 42 მილიონ ლარს, აქედან, 2020 წლისთვის 3 მილიონი ლარია გათვალისწინებული. პროგრამით ისარგებლებს 60-მდე ფერმერი.

აღნიშნული პროგრამის ბენეფიციარი შესაძლებელია იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც საკუთრებაში ან იჯარით აქვს მიწის ნაკვეთი (იჯარის პერიოდი, არანაკლებ, 5 წელი) შემდეგ რეგიონებში: იმერეთი, გურია, სამცხე-ჯავახეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, კახეთი, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი და ქვემო ქართლი. პროგრამაში განაცხადების მიღება დაიწყო 2020 წლის 15 აპრილიდან. განაცხადის ფორმა განთავსებულია სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე www.arda.gov.ge.



კატეგორია	თანადაფინანსების პროცენტული წილი	თანადაფინანსების მაქსიმალური ოდენობა
რძის პირველადი წარმოება	80%	არაუმეტეს 26,000 ლარი
რძის შემგროვებელი პუნქტები	60%	არაუმეტეს 137,000 ლარი
რძის შემგროვებელი პუნქტები (საზაფხულო)	80%	არაუმეტეს 26,000 ლარი
რძის გადამამუშავებელი საწარმოები 1 ტონამდე წარმადობით	80%	არაუმეტეს 39,000 ლარი
რძის გადამამუშავებელი საწარმოები 1-10 ტონამდე წარმადობით	40%	არაუმეტეს 130,000 ლარი
პირუტყვის საკვების პირველადი წარმოება	60%	არაუმეტეს 195,000 ლარი
ვეტერინარია და ხელოვნური განაყოფიერება	80%	არაუმეტეს 52,000 ლარი

სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით სახელმწიფო პროგრამებით მოსარგებლე ბენეფიციართათვის ტექნიკური დახმარების პროგრამა დაიწყო

პროგრამის მიზანია ხარისხიანი ქართული აგრარული პროდუქციის წარმოების ზრდის ხელშეწყობა. პროგრამის ბიუჯეტი 1,500,000 ლარს შეადგენს. პროგრამის ფარგლებში, ბენეფიციარები მიიღებენ თანადაფინანსებას სურსათის უვნებლობის მართვის საერთაშორისო სისტემების/სტანდარტების დანერგვისა და ბრენდირების მიმართულებით. სააგენტოს თანადაფინანსება სურსათის უვნებლობის სტანდარტების/სისტემების მიმართულებით განისაზღვრება არაუმეტეს 50%-ით, არაუმეტეს 15 000 ლარისა, ხოლო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის არაუმეტეს 90%-ით, არაუმეტეს 25 000 ლარისა. ბრენდირების და შეფუთვის დიზაინის მიმართულებით სააგენტოს თანადაფინანსება განისაზღვრება არაუმეტეს 50%-ით, მაგრამ არაუმეტეს 15 000 ლარისა, ხოლო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შემთხვევაში არაუმეტეს 90%-ით, არაუმეტეს 25 000 ლარისა. ტექნიკური დახმარების პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფო პროგრამებში მონაწილე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს გაეწევათ დახმარება ბუღალტრული მომსახურების მიღებისთვის. პროგრამის ფარგლებში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს დაუფინანსდებათ აღჭურვილობა/დანადგარები, რომლის საშუალებით წარმოებული პროდუქცია ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი სარეალიზაციო ფორმით დამზადდება. სააგენტოს თანადაფინანსება განისაზღვრება არაუმეტეს 70%-ით, მაგრამ არაუმეტეს 10 000 ლარისა. პროგრამა სააგენტოს ბენეფიციარებისათვის ასევე ითვალისწინებს საკონსულტაციო მომსახურებას და ტრენინგებს - საერთაშორისო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარებას.

ტექნიკური დახმარების პროგრამის ბენეფიციარი შესაძლებელია იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც სააგენტოსთან, პროგრამების/პროექტების ფარგლებში, გაფორმებული აქვს თანადაფინანსების ხელშეკრულება.

პოტენციური ბენეფიციარი რეგისტრირებული უნდა იყოს სააგენტოს მიერ წარმოებული ფერმათა/ფერმერთა რეესტრში. ტექნიკური დახმარების პროგრამის განაცხადის ფორმა განთავსდება სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე www.arda.gov.ge.



სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა განსაკუთრებით პრიორიტეტულია

კოოპერაციული საწარმოებისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა წარმოადგენს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების მნიშვნელოვან მიმართულებას.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის მიზნით, ხორციელდება სახელმწიფო პროგრამები, რაც სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვის სხვადასხვა რგოლის მხარდაჭერას გულისხმობს.

ამოქმედდა სახელმწიფო პროგრამა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის იმ აღჭურვილობის შეძენის დასაფინანსებლად, რომლის საშუალებითაც წარმოებული პროდუქცია ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი სარეალიზაციო ფორმით დამზადდება. სახელმწიფო პროგრამა ასევე დაეხმარება კოოპერატივებს სურსათის უვნებლობის მართვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვისა და წარმოებული პროდუქციის ბრენდირების მიმართულებით; სახელმწიფო პროგრამებში მონაწილე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს გაეწევათ დახმარება ბუღალტრული მომსახურების მიღებისთვის.

რძის წარმოებაში ჩართული მოსახლეობის შესაძლებლობების გაძლიერების, მათი შემოსავლების ზრდის და მაღალხარისხიანი, უვნებელი რძისა და რძის პროდუქტების წარმოების მიზნით ხორციელდება კოოპერაციული საწარმოების მხარდაჭერის მიმართულებით ინფრასტრუქტურული პროგრამები. რძის გადამმუშავებელი კოოპერაციული მძლავრი საწარმოების შეიქმნება ახალქალაქის, დმანისისა და დუშეთის მუნიციპალიტეტებში.

აღსანიშნავია, რომ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს დარგობრივ პროგრამებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის გათვალისწინებულია დამატებით 10% თანადაფინანსება.

თბილისი, 0159, მარშალ გელოვანის გამზ. N6.
ელ-ფოსტა: info@mepa.gov.ge
ცხელი ხაზი (+995 32) 247 01 01; 1501



ღევან დავითაშვილი: „ჩვენ აგროდაზღვევა უკვე სისტემუხ მიმართულებად ვაქციეთ. პროექტი სამწლიანი იქნება.“

„აგროდაზღვევა, ვფიქრობ, ეთ-ეთი ყველაზე ხთული ამოცანაა ნებისმიერ ქვეყანაში. უნივერსალური წარმატებული მაგალითი არ არსებობს, თუმცა, წლიდან წლამდე, საქართველოში აგროდაზღვევის კომპონენტი იხვეწება. აგროდაზღვევის პროექტი 2014 წლიდან დავიწყეთ. შემდეგ ბევრი ელემენტი შევცვალეთ, დავხვეწეთ. სადაზღვევო კომპანიებს, ფერმერებს ღღეს უკვე აქვთ გამოცდილება, მათ შორის წარმატებული გამოცდილება სადაზღვევო სერვისით სარგებლობის; თუმცა არის გამოწვევები, განვითარება საჭიროა. მაგრამ მთავარია, რომ ჩვენ აგროდაზღვევა უკვე სისტემუხ მიმართულებად ვაქციეთ. პროექტი სამწლიანი იქნება. ეს მისცემს ფერმერებს საშუალებას, მიღებული მოსავლის ხეალიზაციის შედეგად თანხები მიმართოს მომავალი წლის ხისკების დაზღვევისთვის. სამწუხაროდ, ახლა სოფლის მეურნეობაში სწორედ ეს ხისკიანი ფაზა გვაქვს.

მოვუწოდებთ ფერმერებს, რომ ისარგებლონ დაზღვევის პროგრამით, რაც გვაძლევს საშუალებას, მინიმუმამდე შევამციროთ ზარალი. აქ მნიშვნელოვანია ჩვენი თანადაფინანსება პრემიის კუთხით - მცირე მეურნეობებისათვის დახლოებით 70%-იანი თანადაფინანსება - ექსპერტების შეფასებით, ეთ-ეთ კარგი პრაქტიკაა საერთაშორისო ღონეზე", - განაცხადა ღევან დავითაშვილმა სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმის წარდგენის ღროს.

აგროდაზღვევის პროგრამაში განხორციელებული ცვლილების თანახმად, მრავალწლოვანი კულტურების დაზღვევის შემთხვევაში, ფერმერებს შესაძლებლობა ექნებათ დააზღვიონ საკუთარი მოსავალი სამი კალენდარული წლის განმავლობაში.

აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში, ყველა კულტურაზე, გარდა ვაზისა, სახელმწიფოს მხრიდან თანამონაწილეობა კვლავ პოლისის ღირებულების 70%-ით, ხოლო ვაზზე, 50%-ით განისაზღვრა. სადაზღვევო პოლისი ფარავს შემდეგ სადაზღვევო რისკებს: სეტყვა, წყალდიდობა, ქარიშხალი, საშემოდგომო ყინვა.

2020 წელს, პროგრამის ფარგლებში, ბიუჯეტი შეადგენს 9 მილიონ ლარს. მიმდინარე წელს იგეგმება, 15,000-ზე მეტი სადაზღვევო პოლისის გაცემა და 12,000 ჰა-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაზღვევა.

აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარი შესაძლებელია იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ფლობს ან სარგებლობს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთით. დამზღვევი ან მიწის მესაკუთრე ასევე რეგისტრირებული უნდა იყოს ფერმერთა/ფერმათა რეესტრში. ფერმერს შეუძლია დააზღვიოს როგორც ერთწლოვანი ისე მრავალწლოვანი კულტურა.

2020 წლის აგროდაზღვევის პროგრამაში ჩართვა ფერმერებს შეუძლიათ 2020 წლის 15 აპრილიდან.

აგროდაზღვევის პოლისის შესაძენად, ფერმერმა უნდა მიმართონ პროგრამაში ჩართულ 7 სადაზღვევო კომპანიას:

- ალდაგი;
- ჯი პი აი ჰოლდინგი;
- ევროინს ჯორჯია;
- არდი;
- ალფა;
- თიბისი დაზღვევა;
- ნიუ ვიჟენ დაზღვევა.

ფერმერი აფორმებს ყველა საჭირო დოკუმენტს სადაზღვევო კომპანიასთან, იხდის სადაზღვევო პრემიის ღირებულების საკუთარ წილს, მოცდის პერიოდის (4 დღე) გასვლის შემდეგ პოლისი ძალაშია.



ხშირად დასმული შეკითხვები

ზრუნვა სოფელზე და ფერმერზე

სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმა

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა სტიმულირება - 200 ქულა ბარათზე

კითხვა 1: ვის შეუძლია პროგრამაში მონაწილეობის მიღება?

- **პასუხი:** პროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ, ჯამურად, არანაკლებ 0.25ჰა-დან 10 ჰექტრამდე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (გარდა სათიბ-საძოვრის კატეგორიის) რეგისტრირებული მიწის მესაკუთრეებს და პირებს, რომელთაც თანამესაკუთრებაში გააჩნიათ ერთი საკადასტრო კოდით რეგისტრირებული არანაკლებ 0.25ჰა და არაუმეტეს 10ჰა მიწის ნაკვეთი (გარდა სათიბ-საძოვრის კატეგორიისა).

** (იჯახით გაცემული მიწის ფახთობები ახ მონაწილეობს პროგრამაში)*

კითხვა 2: რამდენი იქნება სუბსიდია?

- **პასუხი:** სუბსიდირება შეადგენს 1 ჰა-ზე 200 ლარს (ბარათზე დარიცხულ 200 ქულას), 10 ჰა-მდე 2,000 ლარს.

თუ ბენეფიციარს საკუთრებაში ჯამურად გააჩნია არანაკლებ 0.25 ჰა და არაუმეტეს 10 ჰა მიწის ნაკვეთ(ებ)ი, სუბსიდიის მოცულობა განისაზღვრება 200 ლარით - შესაბამისად, ბარათზე დარიცხული 200 ქულით 1ჰა მიწის ნაკვეთზე პროპორციული გადაანგარიშებით, ან/და თუ ბენეფიციარს თანასაკუთრებაში გააჩნია ერთი საკადასტრო კოდით რეგისტრირებული არანაკლებ 0.25 ჰა და არაუმეტეს 10 ჰა მიწის ნაკვეთ(ებ)ი, სუბსიდიის მუცულობა განისაზღვრება თითოეულ თანასაკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე 200 ლარით - შესაბამისად, ბარათზე დარიცხული 200 ქულით 1 ჰა მიწის ნაკვეთზე პროპორციული გადაანგარიშებით.

კითხვა 3: როგორ შემიძლია მივიღო მონაწილეობა აღნიშნულ პროგრამაში და როგორ გამოვთვალო ჩემი ბარათის ქულები?

- **პასუხი:** ფერმერებს სს „ლიბერთი ბანკის“ პლასტიკურ ბარათებზე დაერიცხებათ ქულები, 1 ჰა- 200 ლარი, 1 ქულა = 1 ლარს, შესაბამისად, 200 ქულა. ბენეფიციარი მიიღებს საკუთრებაში არსებული დარეგისტრირებული მიწის მოცულობის შესაბამის სუბსიდიას, მაგალითად: თუ გაქვთ 0.25 ჰა- მიიღებთ 50 ლარს, თუ გაქვთ 10 ჰა მიიღებთ 2, 000 ლარს.

კითხვა 4: რაში გამოვიყენებ ბარათზე დარიცხულ ქულებს?

- **პასუხი:** ბარათზე დარიცხული ქულებით 0.25 ჰა და 1.25-მდე მიწის ფართობის მფლობელებს/თანამესაკუთრეებს სპეციალიზირებულ მაღაზიებში შეეძლებათ შეისყიდონ სასუქები, მცენარეთა დაცვის ქიმიური/ბიოლოგიური საშუალებები, სათესლე და სარგავი მასალები.

1.25-დან 10ჰა მიწის ნაკვეთის მფლობელები/თანამესაკუთრეები დამატებით შეძლებენ ხვნის მომსახურების მიღებას. ხვის მომსახურების მიღება შესაძლებელია მხოლოდ შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკისა და სერვისების კომპანიის” (ყოფილი შპს „მექანიზატორი“) სერვისცენტრებში, რომელიც ფუნქციონირებს საქართველოს ყველა რეგიონში (ჯამში 12). ხვნის საფასური შეადგენს 1 ჰა-ზე 150 ლარს (150 ქულა).

მომსახურების საფასურის გადახდა მოხდება ბარათზე დარიცხული ქულებით, პოსტერმინალის გამოყენებით.

კითხვა 5: სად უნდა ავიღო ბარათი და როდიდან?

- **პასუხი:** 20 მაისიდან ფერმერმა უნდა მიმართოს სს „ლიბერთი ბანკის“ ნებისმიერ ფილიალს. სს „ლიბერთი ბანკი“ ფერმერს უსასყიდლოდ დაუმზადებს და გადასცემს ბარათს. დარიცხული ქულების რაოდენობის გადამოწმება ფერმერს/ბენეფიციარს შეეძლება ლიბერთი ბანკის ცხელ ხაზზე (2555500) ან ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე პირადი საიდენტიფიკაციო მონაცემების შეყვანით. ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება 20 მაისიდან, ეტაპობრივად (https://www.libertybank.ge/ka/)

კითხვა 6: რა პერიოდში შემიძლია აგრობარათებზე დარიცხული სუბსიდიის/ქულების გამოყენება?

- **პასუხი:** აგრობარათებზე დარიცხული ქულების გამოყენების ბოლო ვადაა 2021 წლის 20 მაისი.

კითხვა 7: თუ მიწა დარეგისტრირებული არ მაქვს, პროექტში მონაწილეობას ვერ მივიღებ?

- **პასუხი:** თუ მიწა ფერმერს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული არ აქვს, პროგრამაში მონაწილეობას ვერ მიიღებს. ფერმერს პროგრამაში ჩართვა და დახმარების მიღება შეუძლია ნაკვეთის რეგისტრაციის გაფორმების შემდეგ. რეგისტრაციის მომდევნო თვიდან ფერმერმა, ბარათის მისაღებად, უნდა მიმართოს ლიბერთი ბანკს.

კითხვა 8: რა არის პროგრამის ბიუჯეტი?

- **პასუხი:** პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 37 მლნ ლარს

კითხვა 9: პროგრამით რამდენი ადამიანი ისარგებლებს?

- **პასუხი:** პროგრამით ისარგებლებს 200,000-ზე მეტი ფერმერი

აგროდიზელით ხელშეწყობის პროგრამა

კითხვა 1: ვის შეუძლია პროგრამაში მონაწილეობის მიღება?

- **პასუხი:** პროგრამაში მონაწილეობის მიღებას და დიზელის შეღავათიან ფასად მიღებას შეძლებენ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის მფლობელი ის ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთაც გააჩნიათ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საკუთრებად რეგისტრირებული არანაკლებ 0.25 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, გარდა საძოვარისა, ან პირები, რომლებიც მოახდენენ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პირველად რეგისტრაციას და დაზუსტებას. პროგრამით მოსარგებლე ფერმერებისთვის გათვალიწინებულია ერთ ჰექტარზე 150 ლიტრის, ხოლო 100 ჰა-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, არაუმეტეს, 15 000 ლიტრის ოდენობით საწვავის ფასდაკლების ბარათების გადაცემა.

კითხვა 2: როგორ მივიღო დიზელის ფასდაკლების ბარათი?

- **პასუხი:** ფერმერებისთვის ფასდაკლების ბარათის გადაცემა განხორციელდება იუსტიციის სახლების, იუსტიციის სახლების საზოგადოებრივი ცენტრებისა და სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს რეგიონული სამსახურების ოფისებში, ხოლო აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, არსებულ მუნიციპალურ ცენტრებში. აგროდიზელის ფასდაკლების ბარათის მისაღებად უნდა გამოცხადნენ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეები და თან უნდა იქონიონ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. სხვა პირის გამოცხადების შემთხვევაში, პირს თან უნდა ჰქონდეს მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა.

კითხვა 3: როდიდან და როდემდე არის შესაძლებელი პროგრამაში მონაწილეობის მიღება?

- **პასუხი:** 2020 წლის მაისის მეორე ნახევრიდან, ეტაპობრივად დარიგდება ფასდაკლების ბარათები და მათი გამოყენება შესაძლებელი იქნება მიმდინარე წლის ბოლომდე. 1 ჰა-ზე მეტი მიწის ფართობის მქონე პირები და იურიდიული პირები ფასდაკლების ბარათის მიღებას შეძლებენ 1 ივნისიდან.

კითხვა 4: რა შეღავათს გულისხმობს დიზელის ფასდაკლების ბარათი?

- **პასუხი:** პროგრამაში ჩართულ ფერმერებს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს რეგიონულ სამსახურებში, იუსტიიცის სახელბსა და საზოგადეობრივ ცენტრებში დაურიგდებათ ავტოგასამართი კომპანიის („სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი”) ფასდაკლების ბარათები. აღნიშნული ბარათებით, პროგრამით მოსარგებლე ფერმერებს, შესაძლებლობა ექნებათ, დიზელის საწვავი, მიმდინარე წლის განმავლობაში, დიზელის ბრენდირებულ ავტოგასამართ სადგურებში ფიქსირებულ ფასზე, დაახლოებით, 1 ლარით ნაკლებ ფასად შეიძინონ. საწვავის შეძენა შესაძლებელი იქნება „სოკარ პეტროლეუმ-ჯორჯიას” საბითუმო ბაზებიდან და ავტოგასამართი სადგურებიდან.

კითხვა 5: ფასდაკლების ბარათი იქნება ჯამურ ლიმიტზე (ლიტრებზე) თუ გამოვიყენებ ეტაპობრივად?

- **პასუხი:** ფასდაკლების ბარათები იქნება სხვადასხვა ნომინალის; შესაბამისად, სურვილისამებრ განახორციელებთ სასურველი ოდენობის ბარათების გამოყენებას. ნებისმიერი ფერმერი 1 ივლისამდე შეძლებს მხოლოდ 50 ლიტრი საწვავის ფასდაკლების ბარათის გამოყენებას, 1 ივლისიდან 1 სექტემბრამდე 300 ლიტრის განაღდებას, ხოლო შემდგომ კი ნებისმიერი რაოდენობით.

კითხვა 6: მიწის თანამესაკუთრეობის შემთხვევაში როგორ ხდება ფასდაკლების ბარათების მიღება?

- **პასუხი:** მიწის თანამესაკუთრეობის შემთხვევაში, აგროდიზელის ფასდაკლების ბარათების გაცემა შესაძლებელია ერთ-ერთ თანამესაკუთრეზე, რომელსაც თან უნდა ჰქონდეს სხვა თანამესაკუთრეთა ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა.

კითხვა 7: როგორ განისაზღვრება საწვავის ლიმიტი ?

- **პასუხი:** სუბსიდირება შეადგენს 1 ჰა-ზე გაანგარიშებით 150 ლიტრი დიზელის შეღავათიან ფასად შეძენას; 10 ჰა-ზე 1500 ლიტრის შეღავათიან ფასად შეძენას; ამგვარი დაანგარიშებით 100 ჰა-ს ჩათვლით.

100 ჰა და მეტი მიწის ფართობის მესაკუთრეები/თანამესაკუთრეები შეღავათიან ფასად შეიძენს არაუმეტეს 15000 ლიტრ დიზელს.

კითხვა 8: რა არის პროგრამის ბიუჯეტი?

- **პასუხი:** საბიუჯეტო სახსრები პროგრამისთვის არ იხარჯება. ფერმერებს, ჯამურად, დიზელის შესყიდვისას ექნებათ 40 მლნ ლარამდე შეღავათი.

StopCoV.ge | ჯანდაცვის სამინისტროს ცხელი ხაზი: 1505 | დაავადებათა კონტროლის ცხელი ხაზი: 116 001

თბილისი, 0159, მარშალ გელოვანის გამზ. N6.
ელ-ფოსტა: info@mepa.gov.ge
ცხელი ხაზი (+995 32) 247 01 01; 1501

კითხვა 9: პროგრამით რამდენი ადამიანი ისარგებლებს?

- **პასუხი:** 200,000-ზე მეტი ფერმერი შეძლებს ისარგებლოს აღნიშნული პროგრამით.

2012-2019 წწ სამელიორაციო მომსახურების დავალიანების ჩამოწერა

კითხვა 1: ვის ჩამოეწერება 2012-2019 წწ წარმოქმნილი სამელიორაციო მომსახურების დავალიანება?

- **პასუხი:** 2012-2019 წწ წარმოქმნილი დავალიანება ჩამოეწერება ყველა იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირს, ვინც ისარგებლა შპს „საქართველოს მელიორაციის“ შემდეგი სერვისებით: ირიგაცია, დრენაჟი, მობილური ტუმბოაგრეგატებით წყლის მიწოდება, სატბორე მეურნეობების წყლით უზრუნველყოფა. აგრეთვე იმ პირებს, რომლებსაც ვალდებულება წარმოეშვათ შპს „საქართველოს მელიორაციის“ წინაშე წყლის დატაცების შედეგად. ამაში არ იგულისხმება წყლის დატაცების გამო დაკისრებული ადმინისტრაციული ჯარიმა.

კითხვა 2: ჩამოიწერება თუ არა 2012 წლამდე წარმოშობილი დავალიანება?

- **პასუხი:** ყველა იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირს, ვინც ისარგებლა შპს „საქართველოს მელიორაციის“ შემდეგი სერვისებით: ირიგაცია, დრენაჟი, მობილური ტუმბოაგრეგატებით წყლის მიწოდება, სატბორე მეურნეობების წყლით უზრუნველყოფა, სრულად ჩამოეწერებათ 2020 წლამდე არსებული დავალიანება.

კითხვა 3: რა თანხას შეადგენს დავალიანება?

- **პასუხი:** შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიმართ შემდეგი მომსახურებებისათვის - ირიგაცია, დრენაჟი, მობილური ტუმბოაგრეგატებით წყლის მიწოდება, სატბორე მეურნეობების წყლით უზრუნველყოფა - დღეის მდგომარეობით არსებული დავალიანება 8 000 000 ლარამდეა.

კითხვა 4: ჩამოიწერება თუ არა დავალიანება, რომელიც სარწყავი წყლის დატაცების შედეგად წარმოიშვა (დაკისრებული ჯარიმა) ?

- **პასუხი:** დავალიანების ჩამოწერა არ გულისხმობს სარწყავი წყლის დატაცების გამო დაკისრებული ადმინისტრაციული ჯარიმის თანხას. თუმცა, ადმინისტრაციული ჯარიმის საფუძველზე ზიანის ანაზღაურების დაკისრებული თანხა, რომელიც შესაბამის ფართობზე სამელიორაციო მომსახურების საფასურის ოდენობისაა, ჩამოწერას ექვემდებარება.

კითხვა 5: ვრცელდება თუ არა აღნიშნული შეღავათი ჰესებისთვის და ტექნიკური წყლით მოსარგებლე ფიზიკური/იურიდიული პირებისთვის?

- **პასუხი:** ჰესები და ტექნიკური (საწარმოო დანიშნულებით) წყლით მოსარგებლე ორგანიზაციები დავალიანებისგან არ თავისუფლდებიან.

კითხვა 6: რა არის საჭირო იმისათვის რომ ჩამოიჭრას დავალიანება?

- **პასუხი:** დავალიანება ჩამოიჭრება ავტომატურად.

2020 წელს სამელიორაციო მომსახურების საფასურისგან გათავისუფლება

კითხვა 1: ვის ეხება შეღავათი სამელიორაციო მომსახურებაზე 2020 წელს?

- **პასუხი:** მომსახურების საფასურზე შეღავათს მიიღებს ყველა ის პირი, ვინც ისარგებლებს საქართველოს მელიორაციის შემდეგი მომსახურებით - ირიგაცია ან/და დრენაჟი. შეღავათის მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება თითოეულ მომხმარებელზე არაუმეტეს 10 ჰექტარისა.

კითხვა 2: იმ შემთვევაში თუ ფართობი აღემატება 10 ჰექტარს?

- **პასუხი:** მომხმარებლისთვის 10 ჰა-ზე მეტი ფართობის სამელიორაციო მომსახურების გაწევისას, შეღავათი შეეხება მხოლოდ 10 ჰა-ს, ხოლო დანარჩენ ფართობზე გაწეულ მომსახურებაზე გადასახადის გადახდა ხდება სტანდარტული ტარიფით.

აღმოსავლეთ საქართველოში - ირიგაციის საფასური 1 ჰექტარზე 75 ლარი, დასავლეთ საქართველოში - ირიგაციის საფასური 1 ჰექტარზე 45 ლარი, დრენაჟის - 40 ლარი.

კითხვა 3: თავისუფლდება თუ არა გადასახადისგან პირი, რომელიც საქართველოს მელიორაციის სხვა სერვისებით სარგებლობს (მობილური ტუმბოაგრეგატებით წყლის მიწოდება, სატბორე მეურნეობების წყლით უზრუნველყოფა, საწარმოებისთვის ტექნიკური წყლის მიწოდება, ჰესებისთვის წყლის მიწოდება ?

- **პასუხი:** არა, პირი, რომელიც სარგებლობს საქართველოს მელიორაციის სხვა სერვისებით, მომსახურების საფასურისგან არ თავისუფლდება.

კითხვა 4: შეუძლია თუ არა ამ შეღავათით ისარგებლოს პირმა, თუ მის სახელზე რეგისტრირებული არ არის მიწის ნაკვეთი?

- **პასუხი:** დიახ, შეღავათით სარგებლობა შეუძლია პირს, ვისაც საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში აქვს მიწის ნაკვეთი.

კითხვა 5: როგორ უნდა ვისარგებლოთ აღნიშნული შეღავათით?

- **პასუხი:** აღნიშნული შეღავათით სარგებლობისთვის, ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა შპს „საქართველოს მელიორაციასთან“ უნდა გააფორმონ განაცხადი სამელიორაციო მომსახურებაზე.

კითხვა 7: სად შეიძლება განაცხადის გაფორმება?

- **პასუხი:** განაცხადის გასაფორმებლად უნდა მიმართოთ შპს „საქართველოს მელიორაციის“ რეგიონულ/ადგილობრივ სერვისცენტრებს.

მერძევეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამა

კითხვა 1: ვინ შეიძლება იყოს პოტენციური ბენეფიციარი?

- **პასუხი:** პროგამაში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირებს, ასევე საქართველოში რეგისტრირებულ მეწარმე იურიდიულ ან ფიზიკურ პირებს, მათ შორის კოოპერატივებს.

კითხვა 2: მერძევეობის დარგის რომელ მიმართულებებზე გაიცემა თანადაფინანსება?

- **პასუხი:** თანადაფინანსება გაიცემა როგორც ახალი საქმიანობის დაწყების, ასევე არსებულის გადაიარაღების, გაფართოების ან მოდერნიზაციის მიზნობრიობით. შემდეგი მიმართულებებით: რძის პირველადი წარმოება, რძის გადამამუშავებელი საწარმო, რძის შემგროვებელი პუნქტი, ცხოველის საკვების წარმოება, ვეტერინარია და ხელოვნური განაყოფიერება.

კითხვა 3: საქართველოს რომელი რეგიონებიდან შეიძლება განაცხადის მოთხოვნა თანადაფინანსებაზე?

- **პასუხი:** პროგრამის გეოგრაფიული არეალი მოიცავს საქართველოს შემდეგ რეგიონებს: სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო ზემო სვანეთი, კახეთი.

კითხვა 4: რა მიზნობრიობით შეიძლება მოვითხოვოთ თანადაფინანსება?

- **პასუხი:** პროგრამა ითვალისწინებს მხოლოდ ძირითადი საშუალებების შეძენას/შექმნას. მაგალითად, რძის პირველადი მწარმოებლის შემთხვევაში შეიძლება დაფინანსდეს ფერმის ან სადგომის მოწყობა, საწველი დარბაზის გაკეთება, საწველი აპარატის შეძენა, რძის ავზების ან გენერატორების შეძენა.

კითხვა 5: შეიძლება თუ არა დაფინანსდეს პროგრამის ფარგლებში უძრავი ქონების, მათ შორის, მიწის ნაკვეთის შეძენა?

- **პასუხი:** პროგრამის ფარგლებში უძრავი ქონების, მათ შორის, მიწის ნაკვეთის შეძენა არ შეიძლება. დაფინანსება ასევე არ ითვალისწინებს სესხის ან სხვა ვალდებულების დაფარვას, სხვა საწარმოში წილის შეძენას, საპროექტო სამუშაოების ღირებულების დაფინანსებას.

კითხვა 6: პროგრამის ფარგლებში თუ არის შესაძლებელი მსხვილფეხა საქონლის შეძენა?

- **პასუხი:** პროგრამის ფარგლებში არ მოხდება ცხოველის შეძენის ღირებულების დაფინანსება.

კითხვა 7: რა რაოდენობის მეწველი მსხვილფეხა საქონელი (ფური) უნდა მყავდეს რომ მივიღო პროგრამაში მონაწილეობა და რა დოკუმენტით უნდა დავადასტურო ფურების საკუთრებაში არსებობა?

- **პასუხი:** ფურების საკუთრებაში არსებობის მოთხოვნა გათვალისწინებულია მხოლოდ რძის პირველადი მწარმოებლის მიმართულებაში. აღნიშნული მიმართულება იყოფა 2 ქვე-მიმართულებად, რძის მოწყვლადი მწარმოებელი და რძის პროგრესული მწარმოებელი. მოწყვლადის შემთხვევაში, ფერმერს უნდა ჰყავდეს არაუმეტეს 5 მეწველი ფური; რძის პროგრესული მწარმოებლის შემთხვევაში - არანაკლებ 6 და არაუმეტეს 20 მწეველი ფური. ფერმერმა უნდა წარმოადგინოს სურსათის ეროვნული სააგენტოდან (სეს) ცნობა იდენტიფიცირებული ფურების საკუთრებაში არსებობის შესახებ.

კითხვა 8: პროგრამის მიხედვით, არსებობს თუ არა ასაკობრივი შეზღუდვა?

- **პასუხი:** ასაკობრივი შეზღუდვა არსებობს მხოლოდ 2 მიმართულებით; ესენია, ცხოველთა საკვების მწარმოებლის და მომსახურების პროვაიდერის მიმართულებები. პოტენციური ბენეფიციარის ასაკი უნდა იყოს: მამაკაცების შემთხვევაში, 18-დან 35-წლამდე, ქალბატონების შემთხვევაში, 18-დან 40-წლამდე.

კითხვა 9: რა თანხის მიღება შეიძლება თანადაფინანსების პირობებით?

- **პასუხი:** სხვადასხვა მიმართულებით დაფინანსების მაქსიმალური მოცულობა სხვადასხვაა. თანადაფინანსების მოცულობა 8000 ლარიდან 195 000 ლარამდეა. სხვადასხვა მიმართულებაში განსხვავდება პროექტის ჯამურ ღირებულებაში სააგენტოს მხრიდან დაფინანსების პროცენტული მაჩვენებელი და მერყეობს 40%-დან 80%-მდე. მაგალითად, რძის მოწყვლადი მწარმოებლის შემთხვევაში, თანადაფინანსების მაქსიმალური მოცულობა შეადგენს 8000 ლარს, მაგრამ არაუმეტეს პროექტის ღირებულების 60%-ისა.

კითხვა 10: თუ პოტენციურ ბენეფიციარს არ ჰყავს ფურები და ასევე არ აქვს მიმდინარე საწარმო, შეუძლია თუ არა მიიღოს მონაწილეობა რძის გადამმუშავებელი საწარმოს მიმართულებით?

- **პასუხი:** დიახ, შეუძლია.

კითხვა 11: შესაძლებელია თუ არა, პოტენციურმა ბენეფიციარმა, თანადაფინანსების მისაღებად, მონაწილეობა მიიღოს ერთდროულად ორი მიმართულებით?

- **პასუხი:** შესაძლებელია მხოლოდ ორ შემთხვევაშია: 1. რძის პროგრესულ მწარმოებელს შეუძლია მიიღოს მონაწილეობა, როგორც საკუთრივ რძის პროგრესული მწარმოებლის მიმართულებით, ასევე, რძის საშუალო ან მცირე გადამმუშავებლის მიმართულებით. 2. რძის მცირე გადამმუშავებელ საწარმოს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს როგორც რძის მცირე გადამმუშავებელი საწარმოს მიმართულებით, ასევე საზაფხულო საძოვრებზე რძის შემგროვებელი პუნქტის მიმართულებით.

კითხვა 12: როდის მთავრდება განაცხადების მიღება?

- **პასუხი:** პროგრამის დასრულების თარიღია 2026 წლის 31 დეკემბერი. შესაძლებელია, დასრულდეს უფრო ადრე, თუ პროგრამის ბიუჯეტი ამოიწურა. ბიუჯეტი შეადგენს 12 000 0000 ევროს.

კითხვა 13: როგორ მივიღოთ მონაწილეობა აღნიშნულ პროგრამაში?

- **პასუხი:** უნდა დარეგისტრირდეთ მერძევეობის პროგრამაში შემდეგ მისამართზე: http://arda.gov.ge/projects. რეგისტრაციის შემდეგ, უნდა შეავსოთ განაცხადი და გამოაგზავნოთ.

კითხვა 14: რა დოკუმენტების წარმოდგენა არის საჭირო თანადაფინანსების მისაღებად და განაცხადის რა ეტაპზე უნდა წარმოვადგინოთ დოკუმენტები?

- **პასუხი:** განაცხადის სხვადასხვა ეტაპზე წარმოსადგენია სხვადასხვა დოკუმენტი. დოკუმენტების ჩამონათვალი მცირედით განსხვავდება მიმართულებების მიხედვით. განაცხადის შევსების და გამოგზავნის დროს დოკუმენტის გამოგზავნა არ არის საჭირო. ყოველ შემდეგ ეტაპზე ბენეფიციარს ინდივიდუალურად ეცნობება თუ რა ტიპის დოკუმენტი უნდა წარმოადგინონ კონკრეტულ ეტაპზე.

ტექნიკური დახმარების პროგრამა

კითხვა 1: ვის შეუძლია პროგრამაში მონაწილეობის მიღება?

- **პასუხი:** პროექტში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელთანაც სააგენტოს პროგრამების/პროექტების ფარგლებში გაფორმებულია თანადაფინანსების ხელშეკრულება;

კითხვა 2: სად და როგორი ფორმით უნდა წარვადგინო განაცხადი?

- **პასუხი:** www.arda.gov.ge-დან უნდა ჩამოტვირთოთ ტექნიკური დახმარების განაცხადის ფორმა და შევსებული განაცხადი წარადგინოთ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს საქმისწარმოების სამსახურში/რეგიონულ სამსახურში.

კითხვა 3: განაცხადთან ერთად, რა დოკუმენტები უნდა წარმოვადგინო?

- **პასუხი:** განაცხადთან ერთად უნდა წარმოადგინოთ თანმდევი დოკუმენტები სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს საქმისწარმოების სამსახურში/რეგიონულ სამსახურში. თანმდევი დოკუმენტების ნუსხა იხილეთ ვებგვერდზე arda.gov.ge.

კითხვა 4: განაცხადზე გადაწყვეტილება რა ფორმით მეცნობება?

- **პასუხი:** გადაწყვეტილება გეცნობებათ წერილობით, თქვენს მიერ მითითებულ მისამართზე ან განაცხადში მითითებულ საკონტაქტო ტელეფონის ნომერზე ან განაცხადში მითითებულ ელ. ფოსტაზე.

კითხვა 5: შპს-ს შემთხვევაში, შესაძლებელია თუ არა აღჭურვილობის შეძენაზე განაცხადის გაკეთება?

- **პასუხი:** არა. აღჭურვილობის შეძენის მოთხოვნაზე განაცხადის გაკეთება შეუძლია მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს.

კითხვა 6: რა იგულისხმება აღჭურვილობაში?

- **პასუხი:** წარმოებული პროდუქტის საბოლოო სასაქონლო სახის მისაცემად საჭირო მანქანა-დანადგარები (მათ შორის, ეტიკეტირების, დამჭრელი, დოზირების, დამფასოებელი, ჩამოსასხმელი, თარიღატორი).

კითხვა 7: სურსათის უვნებლობის რომელი სისტემის/სტანდარტის დანერგვა შემიძლია?

- **პასუხი:** შეგიძლიათ სურსათის უვნებლობის მართვის საერთაშორისო ნებისმიერი სისტემის/სტანდარტის, მათ შორის, ბიოსერტიფიცირების დანერგვა.

აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა

კითხვა 1: რა შემთხვევაში ვითვლები პროგრამის პოტენციურ ბენეფიციარად?

- **პასუხი:** პროგრამის პოტენციური ბენეფიციარია საქართველოს მოქალაქე ფიზიკური ან რეგისტრირებული მეწარმე ფიზიკური/იურიდიული პირი, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი.

კითხვა 2: რომელ რეგიონებში ხორციელდება პროგრამა?

- **პასუხი:** პროგრამა ხორციელდება საქართველოს ყველა რეგიონში, გარდა შემდეგი ქალაქებისა: თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ბათუმი, ფოთი.

კითხვა 3: აუცილებელია თუ არა საკუთრებაში ვფლობდე მიწის ნაკვეთს?

- **პასუხი:** სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე განაცხადის შემოტანის შემთხვევაში, არ არის აუცილებელი მიწის ნაკვეთის საკუთრებაში ფლობა. სათბურის ან/და სარწყავი სისტემის განაცხადის შემთხვევაში, აუცილებელია საკუთრებაში ფლობდეთ ან სახელმწიფო იჯარით გქონდეთ მიღებული მიწის ნაკვეთი, რომელზეც განათავსებთ სათბურს/სარწყავ სისტემას.

კითხვა 4: სათბურის და სარწყავი სისტემის მოთხოვნის შემთხვევაში, განსაზღვრულია თუ არა მინიმალური ან მაქსიმალური მიწის ნაკვეთის ფართობი?

- **პასუხი:** არა, მიწის ნაკვეთის ფართობი განსაზღვრული არ არის.

კითხვა 5: კონკრეტულად რა დახმარებას ითვალისწინებს პროგრამა?

- **პასუხი:** პროგრამა ითვალისწინებს სათბურის, სარწყავი სისტემის, სასოფლო სამეურნეო ტექნიკის შესყიდვის 50%-იან თანადაფინანსებას არაუმეტეს 50,000 ლარისა ერთ ბენეფიციარზე, ხოლო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის მაქსიმალური თანადაფინანსების ოდენობა შეადგენს 500,000 ლარს.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანიისგან“ შესყიდვის შემთხვევაში, თანადაფინანსებს შეადგენს 30%-ს, არაუმეტეს 50,000 ლარს.

კითხვა 6: რა სახის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსებას ახორციელებს პროგრამა?

- **პასუხი:** პროგრამა ითვალისწინებს არაუმეტეს 100 ცხენის ძალის მქონე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტრაქტორის, ხელის ტრაქტორის (მოტობლოკი), სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის განკუთვნილი თვითმავალი ტექნიკის და სასოფლო-სამეურნეო იმპლემენტების (მისაბმელები) თანადაფინანსებას. ტრაქტორის სიმძლავრე არ არის შეზღუდული ტექნიკის შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანიისგან" შესყიდვის შემთხვევაში.

კითხვა 7: სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა უნდა იყოს თუ არა ახალი?

- **პასუხი:** შესასყიდი ტექნიკა წარმოებული უნდა იყოს განაცხადის წარდგენიდან არაუმეტეს 2 კალენდარული წლით ადრე. გარდა შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანიისგან" შესყიდვის შემთხვევისა.

კითხვა 8: სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე უნდა ვრცელდებოდეს თუ არა გარანტია ?

- **პასუხი:** სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე უნდა ვრცელდებოდეს გარანტია არანაკლებ 6 თვის ვადით განაცხადის წარდგენიდან. გარდა შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანიისგან" შესყიდვის შემთხვევისა.

კითხვა 9: სად შეიძლება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, სათბურის და სარწყავი სისტემის შესყიდვა?

- **პასუხი:** სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, სათბურის და სარწყავი სისტემის შესყიდვა შესაძლებელია როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე.

კითხვა 10: რა შეიძლება იყოს ბენეფიციარის თანამონაწილეობის წყარო?

- **პასუხი:** ბენეფიციარის თანამონაწილეობის წყარო შესაძლებელია იყოს საკუთარი ფულადი სახსრები, სესხი/ლიზინგი, მათ შორის, „შეღავათიანი აგროკრედიტი, სხვა დონორის მიერ გაცემული/გასაცემი საგრანტო დაფინანსება.

კითხვა 11: სად და როგორი ფორმით უნდა წარვადგინო განაცხადი?

- **პასუხი:** განაცხადების მიღება ხორციელდება ელექტრონულად, ვებგვერდზე arda.gov.ge.

კითხვა 12: განაცხადთან ერთად, რა დოკუმენტები უნდა წარმოვადგინო?

- **პასუხი:** განაცხადთან ერთად, ელექტრონულად, PDF ფორმატში, უნდა წარმოადგინოთ თანმდევი დოკუმენტები სრულყოფილად. თანმდევი დოკუმენტების ნუსხა იხილეთ ვებგვერდზე arda.gov.ge.

კითხვა 13: რა პროცესები უნდა გავირო თანადაფინანსების მისაღებად?

- **პასუხი:** განაცხადის და თანმდევი დოკუმენტების სრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში, თქვენთან გაფორმდება თანადაფინანსების ხელშეკრულება. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, საკუთარი თანამონაწილეობის გადარიცხვის და აუდიტორული დასკვნის წარმოდგენის შემდგომ (რომელიც ადასტურებს, რომ მიზნობრიობა შესრულებულია), მიიღებთ თანადაფინანსებას.

დანერგე მომავალი - წვეთოვანი სარწყავი სისტემების დაფინანსება

კითხვა 1: ვინ შეიძლება იყოს ბენეფიციარი?

- **პასუხი:** ა) საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი ან ინდივიდუალური მეწარმე; ბ) საქართველოში დაფუძნებული საწარმო, მათ შორის, რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი.

კითხვა 2: რა ფართობზე შემიძლია მოვაწყო წვეთოვანი სარწყავი სისტემა?

- **პასუხი:** მიწის ფართობი უნდა იყოს, მინიმუმ, 0.5 ჰექტარი.

კითხვა 3: მიწის ნაკვეთი არ მაქვს რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, შემიძლია მივიღო დაფინანსება?

- **პასუხი:** დაფინანსების მიღებას შეძლებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიწის ნაკვეთი რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

კითხვა 4: მიწის ნაკვეთი მაქვს იჯარით აღებული, შემიძლია მივიღო დაფინანსება?

- **პასუხი:** თქვენ მიღებული უნდა გქონდეთ სახელმწიფოსგან/მუნიციპალიტეტის ორგანოსგან/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისგან გრძელვადიანი იჯარით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (იჯარის დარჩენილი პერიოდი უნდა შეადგენდეს მინიმუმ 10 წელს, იჯარის ხელშეკრულება უნდა იყოს რეგისტრირებული საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში). სხვა ტიპის იჯარა პროგრამით არ არის გათვალისწინებული.

კითხვა 5: რომელ რეგიონში რა კულტურებზე შემიძლია მოვაწყო წვეთოვანი სარწყავი სისტემა?

- **პასუხი:** წვეთოვანი სარწყავი სისტემა შეგიძლიათ მოაწყოთ:

კახეთი: ატამი, ქლიავი, ტყემალი, ბალი, ზეთისხილი, ალუბალი, გარგარი, ჟოლო, მაყვალი, ხურმა, ბროწეული, კივი, ლეღვი, კაკალი, ნუში, თხილი, ფსტა (ფისტა), ვაშლი, მსხალი, კომში, სუფრის ყურძენი.

შიდა ქართლი: გარგარი, ნუში, შინდი, კაკალი, ატამი, ქლიავი, ტყემალი, ბალი, მოცხარი, ხურტკმელი, ჟოლო, ვაშლი, მსხალი, ალუბალი, მაყვალი, კომში, სუფრის ყურძენი, საღვინე ვაზი (მხოლოდ ადგილობრივი ჯიშები გარდა რქაწითელის ჯიშისა), თხილი.

ქვემო ქართლი: ვაშლი, ატამი, ქლიავი, ტყემალი, ბალი, გარგარი, მოცხარი, ხურტკმელი, ჟოლო, კაკალი, ნუში, ბროწეული, მსხალი, ალუბალი, ხურმა, მაყვალი, კომში, სუფრის ყურძენი, საღვინე ვაზი (მხოლოდ ადგილობრივი ჯიშები გარდა რქაწითელის ჯიშისა), ლეღვი, თხილი, ზეთისხილი (მხოლოდ გადაბნისა და მარნეულის მუნიციპალიტეტებში), ფსტა(ფისტა)

მცხეთა-მთიანეთი: ნუში, ატამი, ქლიავი, ტყემალი, ბალი, მოცხარი, ხურტკმელი, ჟოლო, კაკალი, ვაშლი, მსხალი, ალუბალი, მაყვალი, კომში, სუფრის ყურძენი, საღვინე ვაზი (მხოლოდ ადგილობრივი ჯიშები გარდა რქაწითელის ჯიშისა), თხილი

სამცხე-ჯავახეთი: ატამი, ქლიავი, ტყემალი, ბალი, მოცხარი, ხურტკმელი, ჟოლო, კაკალი, ვაშლი, მსხალი, ალუბალი, მაყვალი, კომში, სუფრის ყურძენი, საღვინე ვაზი (მხოლოდ ადგილობრივი ჯიშები, გარდა რქაწითელის ჯიშისა).

იმერეთი: ლურჯი მოცვი, მაყვალი, ქლიავი, ტყემალი, ბალი, მოცხარი, ხურტკმელი, ჟოლო, ხურმა, კაკალი, თხილი, ვაშლი, მსხალი, ალუბალი, სუფრის ყურძენი, საღვინე ვაზი (მხოლოდ ადგილობრივი ჯიშები, გარდა რქაწითელის ჯიშისა), ლეღვი, დაფნა (გარდა ტყიბულის, ჭიათურის, საჩხერის და ხარაგაულის მუნიციპალიტეტებისა)

რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი: ქლიავი, ტყემალი, ბალი, ხურმა, კაკალი, თხილი, ვაშლი, მსხალი, ალუბალი, ჟოლო, მაყვალი, კომში, სუფრის ყურძენი, საღვინე ვაზი (მხოლოდ ადგილობრივი ჯიშები, გარდა რქაწითელის ჯიშისა), ლეღვი.

სამეგრელო ზემო სვანეთი: კაკალი, ვაშლი, მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი, ქლიავი, ტყემალი, ლურჯი მოცვი, ხურმა, კივი, ფეიხოა, თხილი, მსხალი, ალუბალი, ბალი, ჟოლო, მაყვალი, სუფრის ყურძენი, საღვინე ვაზი (მხოლოდ ადგილობრივი ჯიშები , გარდა რქაწითელის ჯიშისა), ლეღვი, დაფნა.

გურია: მაყვალი, ჟოლო, მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი, ქლიავი, ტყემალი, ბალი, ლურჯი მოცვი, ხურმა, კივი, ფეიხოა, თხილი, ვაშლი, მსხალი, ალუბალი, სუფრის ყურძენი, კაკალი, საღვინე ვაზი (მხოლოდ ადგილობრივი ჯიშები, გარდა რქაწითელის ჯიშისა), ლეღვი, დაფნა.

აჭარა: კაკალი, მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი, ქლიავი, ტყემალი, ბალი, ლურჯი მოცვი, ხურმა, კივი, ფეიხოა, თხილი, ვაშლი, მსხალი, ალუბალი, ჟოლო, მაყვალი, სუფრის ყურძენი, საღვინე ვაზი (მხოლოდ ადგილობრივი ჯიშები, გარდა რქაწითელის ჯიშისა), ლეღვი, დაფნა (გარდა ქედის, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტებისა).

კითხვა 6: რა ოდენობის დაფინანსებას მივიღებ?

თბილისი, 0159, მარშალ გელოვანის გამზ. N6.
ელ-ფოსტა: info@mepa.gov.ge
ცხელი ხაზი (+995 32) 247 01 01; 1501

- **პასუხი:** დაფინანსდება წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობის ღირებულების 50% (დღგ-ს ჩათვლით), მაგრამ არაუმეტეს 1 250 ლარისა 0,5 ჰა-ზე, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივების, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებისა და მაღალმთიანი დასახლებების შემთხვევაში - არაუმეტეს 60%-ის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 1 500 ლარისა 0,5 ჰა-ზე.

კითხვა 7: რომელი კომპანიისგან შემიძლია შევიძინო წვეთოვანი სარწყავი სისტემა?

- **პასუხი:** ნებისმიერი, თქვენი არჩევანის მიხედვით.

კითხვა 8: რა საბუთები უნდა წარმოვადგინო თანადაფინანსების მისაღებად

- **პასუხი:** თანადაფინანსების მისაღებად უნდა წარმოადგინოთ:

- შევსებული განაცხადი
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში)
- პირადობის მოწმობის ასლი (იურიდიული პირის შემთხვევაში - დირექტორის/პასუხისმგებელი პირის; ფიზიკური პირის შემთხვევაში - ნაკვეთის მფლობელისა და პასუხისმგებელი პირის)
- მიწის ნაკვეთის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო რუკა); იჯარის შემთხვევაში, ამონაწერთან ერთად, წარმოდგენილი უნდა იყოს იჯარის ხელშეკრულება
- სააგენტოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული დასკვნა, რომ მიწის ნაკვეთი წყლით უზრუნველყოფილია
- შესასყიდი სარწყავი სისტემის (წვეთოვანი ირიგაცია, სპრინკლერ-ირიგაცია) ინვოისები ან ხელშეკრულება (ქართულ ენაზე/ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე)
- ბენეფიციარის საბანკო რეკვიზიტები.

აგროდაზღვევა

კითხვა 1: ვინ შეიძლება იყოს ბენეფიციარი?

- **პასუხი:** აგროდაზღვევის ბენეფიციარი შესაძლებელია იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ფლობს ან სარგებლობს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებულ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთით. დამზღვევი ან მიწის მესაკუთრე რეგისტრირებული უნდა იყოს ფერმერთა/ფერმათა რეესტრში.

კითხვა 2: რა ფართობის დაზღვევა შემიძლია?

- **პასუხი:** ფიზიკური პირის შემთხვევაში, ერთ ფერმერს შეუძლია დააზღვიოს ყველა კულტურა, მაქსიმუმ, 5 ჰექტარზე, ხოლო მარცვლოვანი კულტურების შემთხვევაში, მაქსიმუმ, 30 ჰექტარზე მოყვანილი მოსავალი. კოოპერატივის შემთხვევაში, ფართობის შეზღუდვა არ არის დადგდენილი. თანადაფინანსება არ უნდა სცდებოდეს 50,000 ლარს.

კითხვა 3: მიწის ნაკვეთი არ მაქვს რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, შემიძლია მივიღო დაფინანსება?

- **პასუხი:** დაფინანსების მიღებას შეძლებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიწის ნაკვეთი რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

კითხვა 4: მიწის ნაკვეთი მაქვს იჯარით აღებული, შემიძლია მივიღო დაფინანსება?

- **პასუხი:** შესაძლებელია დაიზღვეს როგორც საკუთრებაში, ისე სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთები.

კითხვა 5: რომელი კულტურები შემიძლია დავაზღვიო?

- **პასუხი:** აგროდაზღვევის პროგრამაში შესაძლებელია დაიზღვეს შემდეგი სასოფლო-სამეუნრეო კულტურები: ხორბალი, ქერი, სიმინდი, შვრია, ჭვავი, ლობიო, მზესუმზირა, სოიო, მიწის თხილი, ბადრიჯანი, წიწაკა, კომბოსტო, პომიდორი, კიტრი, კარტოფილი, ხახვი, ნიორი, სტაფილო, ჭარხალი, ბროკოლი, ყვავილოვანი კომბოსტო, მწვანილი (არასასათბურე), ცერეცო (არასასათბურე), საზამთრო, ნესვი, გოგრა, ვაზი თეთრი, ვაზი წითელი, ვაშლი, მსხალი, კომში, ბალი, ალუბალი, ატამი, გარგარი, ქლიავი, ბროწეული, ალუჩა, ტყემალი, მარწყვი, ჟოლო, მოცხარი, მოცვი, მაყვალი, თხილი, კაკალი, ნუში, კივი, სუბტროპიკული ხურმა, კარალიოკი, ფეიხოა, მანდარინი და ლიმონი.

კითხვა 6: რა ოდენობის დაფინანსებას მივიღებ?

- **პასუხი:** სახელმწიფოს თანადაფინანსება ყველა კულტურაზე შეადგენს პოლისის ღირებულების 70 %-ს, ხოლო ვაზზე 50 %-ს.

კითხვა 7: რაზე ვრცელდება აგროდაზღვევა

- **პასუხი:** შეგიძლიათ დააზღვიოთ მოსავალი სეტყვისგან, წყალდიდობისგან, ქარიშხლისგან. საშემოდგომო ყინვისგან მხოლოდ ციტრუსოვანი კულტურების დაზღვევაა შესაძლებელი.

კითხვა 8: ვის უნდა მივმართო პოლისის შესაძენად

- **პასუხი:** აგროდაზღვევის პოლისის შეძენის სურვილით შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამაში ჩართულ 7 სადაზღვევო კომპანიას:

- ალდაგი
- ჯი პი აი ჰოლდინგი
- სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯია
- არდი
- ალფა
- თიბისი დაზღვევა
- ნიუ ვიჟენ დაზღვევა

ფერმერი აფორმებს ყველა საჭირო დოკუმენტს სადაზღვევო კომპანიასთან, იხდის სადაზღვევო პრემიის ღირებულების საკუთარ წილს და მოცდის პერიოდის (4 დღე) გასვლის შემდეგ, მისი პოლისი შედის ძალაში.

შეღავათიანი აგროკრედიტი

კითხვა 1: ვის შეუძლია ისარგებლოს შეღავათიანი აგროკრედიტით?

- **პასუხი:** პროექტში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირს, ინდივიდუალურ მეწარმეს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ იურიდიულ პირს (გარდა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოებისა) და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს.

კითხვა 2: რა ფინანსდება შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში?

- **პასუხი:** პროექტის ფარგლებში სესხი/ლიზინგი გაიცემა, როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქტების პირველადი წარმოების, ასევე მათი გადამუშავება/შენახვის დაფინასებისათვის. დაფინანსება გათვალისწინებულია როგორც ძირითადი, ისე საბრუნავი საშუალებებისთვის.

კითხვა 3: რა მოცულობის თანხის აღება შეუძლია ფიზიკურ პირს?

- **პასუხი:** ძირითადი საშუალებების კომპონენტში 20 000 ლარიდან 75 000 ლარის ჩათვლით, მექანიზაციის ქვეკომპონენტში 7 000 ლარიდან 75 000 ლარის ჩათვლით, ხოლო ერთწლოვანი კულტურების საბრუნავი საშუალებებისთვის 5 000 ლარიდან 100 000 ლარის ჩათვლით.

კითხვა 4: რა მოცულობის თანხის აღება შეუძლია იურიდიულ პირს?

- **პასუხი:** ძირითადი საშუალებების კომპონენტში - 20 000 ლარიდან 1 500 000 ლარის ჩათვლით, მექანიზაციის ქვეკომპონენტში - 7 000 ლარიდან 1 500 000 ლარის ჩათვლით, სასურსათო მრეწველობის შემთხვევაში - 1 500 000 ლარიდან 5 000 000 ლარის ჩათვლით, ხოლო ერთწლოვანი კულტურების საბრუნავი საშუალებებისვის - 5 000 ლარიდან 100 000 ლარის ჩათვლით.

კითხვა 5: რამდენ პროცენტს შეადგენს სააგენტოს თანამონაწილეობა და რა ვადით?

პასუხი:

- საბრუნავი საშუალებები ერთწლოვანი კულტურებისთვის - უზრუნველყოფილ სესხებზე სესხის პროცენტი დაფინანსდება სრულად, ხოლო არაუზრუნველყოფილ სესხებზე 17%. სესხის პროცენტის თანადაფინანსება განხორციელდება 6 თვის განმავლობაში;
- ძირითადი საშუალებებისთვის - 11%. სესხის პროცენტის თანადაფინანსება განხორციელდება 48 თვის განმავლობაში;
- მექანიზაციის ქვეკომპონენტისთვის - 8%. სესხის პროცენტის თანადაფინანსება განხორციელდება 48 თვის გამავლობაში;
- მრავალწლოვანი ბაღების ქვეკომპონენტისთვის - 11%. სესხის პროცენტის თანადაფინანსება განხორციელდება 66 თვის განმავლობაში;
- სასურსათო მრეწველობის ქვეკომპონენტისთვის - 10%. სესხის პროცენტის თანადაფინანსება განხორციელდება 24 თვის განმავლობაში;
- ლიზინგის შემთხვევაში - 12%. სესხის პროცენტის თანადაფინანსება განხორციელდება 48 თვის განმავლობაში;
- ლიზინგი მექანიზაციისთვის - 9%. სესხის პროცენტის თანადაფინანსება განხორციელდება 48 თვის განმავლობაში;
- ლიზინგი სასურსათო მრეწველობისთვის - 12%. სესხის პროცენტის თანადაფინანსება განხორციელდება 24 თვის განმავლობაში.

კითხვა 6: აუცილებელია თუ არა, რომ ის მიწის ნაკვეთი, რომელზეც ხორციელდება სესხის მიზნობრიობა იყოს ბენეფიციარის საკუთრებაში?

- **პასუხი:** ძირითადი საშუალებების სესხის აღების შემთხვევაში, მიწის ნაკვეთი უნდა იყოს ბენეფიციარის საკუთრებაში ან რეგისტრირებულ სარგებლობაში, ხოლო ერთწლოვანი კულტურების საბრუნავი საშუალებებისთვის სესხის აღების შემთხვევაში, არ არის სავალდებულო რეგისტრირებული საკუთრება ან სარგებლობა.

კითხვა 7: რომელ ბანკს უნდა მივმართო შეღავათიანი აგროკრედიტის/აგროლიზინგის მისაღებად?

პასუხი:

შეღავათიანი აგროკრედიტის მიღების სურვილით პირს შეუძლია მიმართოს პროექტში ჩართულ შემდეგ 12 ბანკს:

- საქართველოს ბანკი
- თიბისი ბანკი
- ვითიბი ბანკი
- ბაზის ბანკი
- ტერაბანკი
- ბანკი ქართუ
- პროკრედიტ ბანკი
- ხალიკ ბაკი
- კრედო ბანკი
- პაშა ბაკი
- იშბანკი
- ლიბერთი ბანკი

შეღავათიანი აგროლიზინგით სარგებლობის სურვილით პირს შეუძლია მიმართოს პროექტში ჩართულ შემდეგ 4 სალიზინგო კომპანიას:

- თიბისი ლიზინგი
- საქართველოს სალიზინგო კომპანია
- ბიეიჩელ ლიზინგი
- კრისტალი

კითხვა 8: შესაძლებელია თუ არა უკვე აღებული არაშეღავთიანი აგროსესხის გადაფარვა შეღავათიანი აგროკრედიტით?

- **პასუხი:** შეღავათიანი აგროკრედიტით დაუშვებელია კომერციული სესხის (არაშეღავათიანის) გადაფარვა.

კითხვა 9: შესაძლებელია თუ არა შეღავათიანი აგროკრედიტით მიწის ნაკვეთის შეძენა?

- **პასუხი:** შეღავათიანი აგროკრედიტით დაუშვებელია უძრავი ქონების შეძენა.

StopCoV.ge ჯანდაცვის სამინისტროს ცხელი ხაზი: 1505 დაავადებათა კონტროლის ცხელი ხაზი: 116 001

StopCoV.ge

ჯანდაცვის სამინისტროს ცხელი ხაზი: 1505

დაავადებათა კონტროლის ცხელი ხაზი: 116 001

სუს სურსათის ეროვნული სააგენტო

რეკომენდაციები აგრარულ ბაზრებისთვის

ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით:

ბიზნესოპერატორი ვალდებულია:

ა) მიუხედავად იმისა, აგრარული ბაზარი განთავსებულია დახურულ სივრცეში თუ ღია სივრცეში, ახალი კორონავირუსით (COVID-19) ჯვარედინი დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით უზრუნველყოს მომხარებელთა/მყიდველთა ნაკადურობის დაცვა, რისთვისაც საჭიროა მკაცრად განისაზღვროს და გაიმიჯნოს ბაზრის ტერიტორიაზე მომხმარებელთა/მყიდველთა შესასვლელი და გამოსასვლელი, სათანადო სავალდებულო ნიშნების მითითებით;

ბ) დახურულ სივრცეში განთავსებული აგრარული ბაზრის შესასვლელში განათავსოს დეზობარიერები და უზრუნველყოს დეზინფექტანტით მათი რეგულარული განახლება;

გ)პერიოდულად, დღეში რამდენჯერმე, უზრუნველყონ დახურული სივრცეების/სათავსების ბუნებრივი ვენტილაცია;

დ) უზრუნველყონ ტერიტორიის საჭიროებისამებრ რეგულარული რეცხვა და სამუშაო ადგილების სველი წესით დასუფთავება და დეზინფექცია და ჩატარებული სამუშაოების აღრიცხვა;

ე) უზრუნველოს აგრარული ბაზრის ტერიტორიაზე, შესაბამის ადგილას, საკმარისი რაოდენობის ხელსაბანის და საპირფარეშოს არსებობა. უნდა ხდებოდეს მათი დასუფთავება/დეზინფიცირება, ხელსაბანი აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი ჰიგიენური საშუალებებით;

ვ) როგორც ღია, ისე დახურულ სივრცეში, სამუშაო ადგილზე, სამუშაოს დაწყების წინ მოახდინოს მოვაჭრე პერსონალის იდენტიფიკაცია (მოსთხოვოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა) და გააკონტროლოს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა (ტემპერატურის გაზომვით,) და აღრიცხოს იგი მისთვის ხელსაყრელი მეთოდით;

ზ) არ დაუშვას აგრარული ბაზრის ტერიტორიაზე მოვაჭრე პერსონალი, თუ გამოკითხვით დადგინდება, რომ:

ზ.ა) მათ დატოვეს ვირუსის გავრცელების ქვეყნები ბოლო 14 დღის განმავლობაში;

ზ.ბ) ბოლო 14 დღის განმავლობაში მჭიდრო კონტაქტში იმყოფებოდნენ კორონავირუსის მატარებელ პირთან/პირებთან (მათ უნდა გაიარონ თვითიზოლაცია/კარანტინი შესაბამისად დადგენილი წესით);

ზ.გ) აღენიშნებათ რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომები (ხველა, ტემპერატურა, ცემინება, სუთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.);

ზ.დ) მიეკუთვნებიან COVID-19-ით დაინფიცირებისა და გართულებების მაღალი რისკის მქონეებს, კერძოდ: 70 წელს გადაცილებული, აგრეთვე, ქრონიკული დაავადებების (გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, დიაბეტი, ბრონქული ასთმა და სასუნთქი ორგანოების სხვა დაავადებები) მქონე პირები.

თ) უზრუნველყონ მომხარებელთა/მყიდველთა შორის სოციალური დისტანციის დაცვა არანაკლებ 2 მ მანძილზე;

ი) სავაჭრო სივრცის ფართობის მიხედვით განსაზღვრონ და არეგულირონ აგრარული ბაზრის ტერიტორიაზე ერთდროულად მომხმარებელთა/მყიდველთა შეზღუდული რაოდენობა;

კ) არ დაუშვას აგრარული ბაზრის ტერიტორიაზე მომხმარებელი/მყიდველი, პირბადის გარეშე და რომელსაც ხელები დაცული არ ექნება ერთჯერადი ხელთათმანით ან ერთჯერადი პლასტიკური პაკეტით;

ლ) უზრუნველყოს მოვაჭრე პერსონალის და მომხმარებლის/მყიდველის მიერ გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერების განთავსება, სათანადო აღნიშვნით (წარწერით), რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი. ნარჩენების პარკის ამოღება და განკარგვა მოხდეს ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენებით. უზრუნველყოს ასეთი ნარჩენების დროული გატანა შესაბამისი პირის/სამსახურის მიერ;

მ) სავაჭრო პავილიონებში და ვიტრინებში, სადაც ხდება ხორცისა და რძის ნაწარმის რეალიზაცია, დაცული უნდა იქნეს შენახვის პირობები და ტემპერატურული რეჟიმები;

ნ) ბაზრის ტერიტორიაზე სატვირთო და მსუბუქი მანქანის შესვლისათვის განახორციელონ მათი რეცხვა და სადეზინფექციო ხსნარებით დამუშავება;

ო) იმ შემთხვევაში, თუ ბაზრის ტერიტორიის მცირე სივრციდან გამომდინარე ვერ ხერხდება ყველა მოვაჭრის ერთდროულად განთავსება, ბაზრის დირექციამ სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებით, წარმოადგინოს გეგმა-გრაფიკი და გაიმიჯნოს სხვადასხვა პროდუქტებით ვაჭრობა დღეების მონაცვლეობით (მაგ. ერთ დღეს განთავსდეს მხოლოდ ხილი და ბოსტნეული მომდევნო დღეს ხორცი, ყველი და ა.შ).

აგრარულ ბაზარში მოვაჭრე პერსონალი ვალდებულია:

ა) სამუშაო პროცესი განახორციელოს ამ რეკომენდაციების და ბიზნესოპერატორის მითითებების შესაბამისად;

ბ) სამუშაო ადგილზე დაიცვას ჰიგიენის წესები;

გ) მისალმებისას არ ჩამოართვან ხელი ერთმანეთს და მოერიდონ სხვებთან კონტაქტს (შეხებას და სხვა);

დ) არ გადასცენ მობილური ტელეფონი გამოყენებისთვის სხვა პირს;

ე) მოერიდონ თავშეყრას, დაიცვან რეკომენდაციით გათვალისწინებული სოციალური დისტანცია (არანაკლებ 2 მ-სა);

ვ) სამუშაოების შესრულებისას გამოიყენონ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, რომელსაც აწვდით ან/და მიუთითებთ ბიზნესოპერატორი დამსაქმებელი;

ზ) სამუშაოს დაწყებისა და დამთავრებისას სადეზინფექციო საშუალებებით დაასუფთავონ სამუშაო ადგილები და ის ხელსაწყოები, რომელსაც იყენებენ სამუშაო პროცესის მიმდინარეობისას;

თ) სამუშაო ადგილზე არ გამოიყენონ სამკაულები, ხელის ჰიგიენის სრულყოფილად ჩატარებისათვის;

ი) ხელის ჰიგიენა ჩაიტარონ დამატებით აუცილებლად :

ი.ა) საკვების მიღებამდე და მიღების შემდეგ;

ი.ბ) დახველების ან დაცემინების შემდეგ;

ი.გ) საპირფარეშოთი სარგებლობამდე და შემდეგ;

კ) საფუძვლიანად დაიბანონ ხელები წყლითა და საპნით. დაბანის შემდგომ ხელები კარგად გაიმშრალონ;

ლ) გამოიყენონ სპირტის შემცველი ხელის საწმენდი საშუალებები იმ შემთხვევაში, თუ ვერ ახერხებენ ხელების დაბანას და გაშრობას.

მ) დახველების და დაცემინების დროს მიიფარონ სუფთა ერთჯერადი ხელსახოცი ან იდაყვი. გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცი კი გადააგდონ ურნაში/კონტეინერში;

ნ) მოერიდონ ხელებით თვალებზე, ცხვირზე და პირზე შეხებას. მუშაობის პერიოდში მჭიდროდ დაიმაგრონ თმა, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმისა და სახის შეხება;

ო) უზრუნველყოს სამუშაო სივრცის დროული დასუფთავება და ნარჩენების დროული გატანა.

მომხმარებლის/მყიდველის ვალდებულებები:

ა) აგრარულ ბაზარში მომხმარებელი/მყიდველი ვალდებულია იმოქმედოს ამ რეკომენდაციების და ბიზნესოპერატორის მითითებების შესაბამისად;

ბ) აგრარული ბაზრის ტერიტორიაზე შესვლა და გამოსვლა განახორციელონ მხოლოდ მითითებული სავალდებულო ნიშნის მიხედვით;

გ) დაიცვან სოციალური დისტანცია არა ნაკლებ 2 მ მანძილისა;

დ) სურსათთან შეხება განახორციელოს მხოლოდ ერთჯერადი ხელთათმანის ან ერთჯერადი პლასტიკის პარკის გამოყენებით;

ე) დახველების და დაცემინების დროს მიიფარონ სუფთა ერთჯერადი ხელსახოცი ან იდაყვი;

ვ) გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცი ან ერთჯერადი პლასტიკის პარკი განათავსონ შესაბამის ურნაში/კონტეინერში.

თბილისი, 0159, მარშალ გელოვანის გამზ. N6.
ელ-ფოსტა: info@mepa.gov.ge
ცხელი ხაზი (+995 32) 247 01 01; 1501

ვეტერინარის რჩევა:
პირუტყვი პარაზიტებზე დროულად უნდა დამუშავდეს!

სურსათის ეროვნული სააგენტო

გაზაფხულის დადგომასთან და ტემპერატურის მატებასთან ერთად, მწერები და ტკიპები აქტიურდებიან. ისინი სხვადასხვა დაავადების გადამტანები არიან, მათ შორისაა, ზოონოზური დაავადებებიც (დაავადება, რომელიც ცხოველსაც ემართება და ადამიანსაც), რაც საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს (ასეთებია, ყირიმ კონგოს ჰემორაგიული ცხელების და სხვა). აგრეთვე, იკლებს ცხოველის პროდუქტიულობა და, შესაძლოა, გამოიწვიონ პირუტყვის სიკვდილიც.

სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარები ფერმერებს და ცხოველების მეპატრონეებს ურჩევენ აუცილებელად დაამუშავონ ცხოველები მწერების და ტკიპების საწინააღმდეგოდ:

- დროულად ჩაუტარონ ექტო და ენდო (გარეგანი და შინაგანი) პარაზიტების საწინააღმდეგო დამუშავება;
- ვეტერინარული პრეპარატები შეიძინონ, მხოლოდ ვეტერინარულ აფთიაქში. ყურადღება მიაქციონ ვარგისიანობის ვადას და შენახვის პირობებს, მოითხოვონ მისი გამოყენების ინსტრუქცია და დეტალურად გაეცნონ მას.

ვეტერინარულმა პრეპარატმა რომ არ გამოიწვიოს ცხოველის ჯანმრთელობის გაუარესება და სიკვდილი, გამოყენება უნდა მოხდეს ინსტრუქციის სრული დაცვით!

- ცხოველების დამუშავება უნდა ჩატარდეს ვეტერინარი სპეციალისტის მიერ ან მისი ზედამხედველობით.
- სასოფლო–სამეურნეო სამუშაოების შესრულებისას, გამოიყენონ პირადი პროფილაქტიკის დაცვის საშუალებები (სპეცტანსაცმელი, რეზინის ფეხსაცმელი, ხელთათმანები).

სურსათის ეროვნული სააგენტო მთელი ქვეყნის მასშტაბით აქტიურად ახორციელებს ვეტერინარულ ღონისძიებებს, ვაქცინაციას სხვადასხვა დაავადებაზე. ასევე, ცხოველების სეზონური გადარეკვისას, სააგენტოს ვეტერინარების მიერ, პირუტყვი, ექტო პარაზიტების საწინააღდეგოდ, სპეციალურად მოწყობილ ვეტერინარულ პუნქტებზე მუშავდება, ხოლო დაავადებების რისკის ზონებში შემთხვევების დაფიქსირებისას, ტარდება შესაბამისი ღონისძიებები.

სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებების პარალელურად, ცხოველების ჯანმრთელობის დაცვისთვის, უმნიშვნელოვანესია მეპატრონეების და ფერმერების მხრიდან შესაბამისი ვეტერინარული ღონისძიებების დროულად ჩატარება.

ვეტერინარული ზედამხედველობის პუნქტები 1 მაისიდან ამოქმედდა

ცხვრის სეზონურ საძოვრებზე გადაადგილებასთან დაკავშირებით, კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში ვეტერინარული ზედამხედველობის პუნქტები 1 მაისიდან ამოქმედდა.

ახალი კორონავირუსის გამო შექმნილი ვითარების მიუხედავად, ფერმერებს საშუალება აქვთ, შეუფერხებლად ისარგებლონ სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარული ზედამხედველობის პუნქტების მომსახურებით. სააგენტოს ვეტერინარები ბიოუსაფრთხოების წესების დაცვით უზრუნველყოფენ პირუტყვის დამუშავებას ექტოპარაზიტების საწინააღმდეგოდ, რაც ცხოველების დაავადებების პრევენციას და შემცირებას უწყობს ხელს.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სააგენტოს რეგიონულ სამსახურებში.

სურსათის ეროვნული სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს მეცხვარეთა ასოციაციასთან.

ქვეყნის მასშტაბით, კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში (დედოფლისწყარო, სიღნაღი, თელავი, რუსთავი, მარნეული, ბოლნისი), ცხოველთა გადასარეკი ტრასების საკვანძო ადგილებში უახლესი სტანდარტების 6 ვეტერინარული ზედამხედველობის პუნქტი ფუნქციონირებს, სადაც განთავსებულია პირუტყვის სადეზინსექციო-გასაბანი აუზები, სადეზინსექციო საშხაპეები, წყლის რეზერვუარები, საწყობი, ვეტპუნქტი. ცხოველთა დამუშავებისას გამოიყენება მაღალი სტანდარტების ინსექტოაკარიციდული პრეპარატები.

სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები ფერმერებს უსასყიდლოდ ემსახურებიან.

ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებები აქტიურად გრძელდება

ქვეყანაში შექმნილი ვითარების მიუხედავად, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებები უსაფრთხოების წესების სრული დაცვითა და რეკომენდაციების გათვალისწინებით მიმდინარეობს.

ღონისძიებებში აქტიურად არიან ჩართული ფერმერები, რომლებიც ფაროსანასა და სხვა მავნე ორგანიზმებისაგან მოსავლის დასაცავად ხეხილისა და თხილის ბაღებში აგროკალენდრით გათვალისწინებულ შეწამვლით სამუშაოებს სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გადაცემული სპეციალიზებული ტექნიკის მეშვეობით ახორციელებენ.

ფაროსანასთან ბრძოლის საკოორდინაციო მართვის ცენტრი, თხილის მწარმოებელთა ასოციაციასთან ერთად, რომელშიც 25 ათასამდე ფერმერია გაწევრიანებული, მუდმივ კომუნიკაციაშია ფერმერებთან და საჭირო კონსულტაციებს მათ დისტანციურ რეჟიმში უწევს.

დღეის მონაცემებით, ფაროსანასთან ბრძოლის მიზნით, რეგიონებში 2 520 მონიტორინგის სისტემაა დამონტაჟებული, რომელთა მონიტორინგს სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები ახორციელებენ. შეწამვლითი სამუშაოები მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით იგეგმება.

StopCoV.ge | ჯანდაცვის სამინისტროს ცხელი ხაზი: 1505 | დაავადებათა კონტროლის ცხელი ხაზი: 116 001